ძვ. რომა-ული ქალბა-ტონი

მოჭრ-ილი ხე

ჯავახი-შვილის მეჩექმე

ტელე-ფონში ისმის

უსახლ-კარო

ყვავილი / მეჩეთ-ში შევიდა

ფუტკ-რის საკ-ვები

განივი კოჭი გემზე

ვ. სკო-ტის „შავი (....)"

სოფელი სიღნა-ღის რა-იონში

მაღალი ლობე

ზღვის ფრინ-ველი

პორტ-არტურის ომის გმირი

ორი თამასა ქარის საკიდად

1500 წ-მდე და-ბეჭდილი წიგნი

ქეთევან (.....)

ძველი ბერძენი

აიკიდოს ოსტატი პოლი-ვუდში

სასწ-ორის ტვირთი

ძვირფასი საჩუქარი / მუსიკ. პრემია

ბულგა-რეთის ფული

კოლუ-მბის გემი

გზის გამომ-ჩენი

ქალაქის თავი / თავსა-ტეხი

ვისის მიჯნური

მდიდარ რომაელს ჰყავდა

დემოს-თენე იყო

მდიდ-რული სახლი

ზრუნვა / ინიცი-ატორი

იოჰან სებას-ტიან (....)

ძაოზის ფრინვე-ლი, ადი-უტანტი

სპარ-სეთი

(....) მური

ზაფხ-ულის საძო-ვარი

თომას მაინ (....)

რუსი მწერალი

ქალის სახელი

რა არის საფარი?

დიდი ყვავილი

აშშ-ს შტატი

ფრანგი მხატ-ვარი, ედუარდ

მარჯნის კუნძული

იგივე ტუსაღი

ისლამის წმინდა თვე

მსახი-ობის სამუ-შაო

მადის გამხსნ-ელი სა-სმელი

ფრიადი

გეოლო-გიური პერიოდი

(....) კრისტი

ოსმალო ევროპე-ლთათვის

ტელეს-კოპის ნაწილი

კუზია-ნი კურ-დღელი

ნისანის ჯიპი / ბადალი

ძიდა-ობის ფანდი

სამეუ-რნეო მუშაკი

ნაცვალ-სახელი

რაიმეზე დამდგა-რი მზის შუქი

ცხენ-ბურთი / რომაელ. სამოსი

სამხრ. ამერიკ-ის მდი-ნარე

თითრ-ყურა ძაღლი

ცნობ-ილი დათვი

ნაგავს უნდა / ფრანგი მეზღვარე

რბილი ლითონი

ღვინის ჭურჭელი

ავსტრ-იელი კომპო-ზიტორი

არსა-კიძე

წვრილი სისხლ-ძარღვი

რუსეთის ქალაქი

ძველი სახელმ-წიფო ევ-როპაში

ადგილი / რომის იმპერ-ატორი

ლარის კოლეგა / ულუს კოლეგა

აკუნა (....)

სოფელი ქასპის რ-ნში

ოსირის-ის ცოლი / აბრაამის ცოლი

ბრტყელი სასმისი / ესაძის ქალაქი

# შევერკინოთ ერთმანეთს?! – მეორე ტური



**თარაზულად:**

1. **(პირველი საპრიზო კითხვა)** სიმონ ჩაჩავას სატრფოს სახელი (სიმონ ჩაჩავა ვინაა, თქვენ გაიხსენეთ).

4. მწერალი ძმების გვარი, რომელთა სახელობის პრემია მათს სამშობლოში ძალზედ პრესტიჟულად ითვლება ლიტერატურაში.

7. **(მეორე საპრიზო კითხვა)** ქალაქი რუსეთში მდინარე უის ნაპირზე.

14. გერმანელი ფაბრიკანტი, რომელსაც სახელი ერთმა ამერიკელმა კინორეჟისორმა გაუთქვა. 15. ამერიკელი მფრინავი, რომელმაც პირველმა მიწაზე დაუშვებლად გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს. 16. თევზი ზუთხისებრთა ოჯახიდან. 19. ხერუსკების ტომის ბელადი, რომაელების ჯარის გამანადგურებელი ტევტობურგის ტყესთან. 20. გამოქვაბულების და მღვიმეების შემსწავლელი მეცნიერი. 23. გრაფიკული ნიშანი სამუელ მორზეს შემოქმედებაში. 24. ყველაზე დიდი მუსლიმანური სახელმწიფო მოსახლეობით. 25. წყნარი ამინდი ზღვაზე.

29. **(მესამე საპრიზო კითხვა)** ყველაზე ცნობილი „გრძელთმიანი" სუბიექტის ინგლისელი ნათლიის გვარი ჩაწერეთ აქ.

30. ქრისტეფორე კოლუმბის მიერ 1493 წელს აღმოჩენილი კუნძული კარიბის ზღვაში. 31. არატკბილად მოუბარი, ანუ ვინ? 36. 1964-1973 წლებში კენედის საპატივცემლოდ წოდებული კონცხი ფლორიდის ნახევარკუნძულზე, აშშ-ს ერთ-ერთი კოსმოსური ცენტრი.

37. **(მეოთხე საპრიზო კითხვა)** „მწარმოებელი ადამიანის" ლიტერატურული შემქნელის კიდევ ერთი რომანი გაიხსენეთ.

38. რა ჰქვია მორიკონეს, თანამედროვე იტალიელ კომპოზიტორს... ალბათ, გახსოვთ მისი მუსიკა ფილმში „ერთხელ ამერიკაში". 41. „კუზიან კურდღელად" წოდებული მღრღნელი. 42. ავადმყოფობა, რომელსაც ფარისებური ჯირკვლის ჩიჩახვისებური გადიდება ახასიათებს. 43. ყურის დაავადებების შემსწავლელი მეცნიერება. 47. ერთ-ერთი უძველესი სამკითხაო კარტის სახელწოდება. 48. ჯარის რჩეული ნაწილი. 49. რუსი მწერალი, გრაფი კალიოსტროს შესახებ არსებული ლიტერატურული ნაწარმოების და რომან „აელიტას" ავტორი.

53. **(მეხუთე საპრიზო კითხვა)** მათ შორის არიან: ქამელეონი, მტრედი, ბუზი, დელფინი, ფენიქსი, ტელესკოპი.... აქ მათი კიდევ ერთი „თანამოძმე" ჩაწერეთ.

54. წყალქვეშ სასუნთქი მოწყობილობა. 55. მდინარე ყაზახეთში, რომელზეც გაშენებულია ქალაქი აქტიუბინსკი. 60. სადურგლო ინვენტარი. 61. ნატვრის თვალი, რომელსაც თითქოს გველი ინახავს და ათამაშებს ხოლმე ხალხური წარმოდგენებით.

62. **(მეექვსე საპრიზო კითხვა)** ავსტრალიური წარმოშობის მწერალი ქალი, რომელსაც 1934 წელს დაწერილმა შედევრმა სახელი და დიდება მოუტანა (გვარი).

65. ძველ რომაელთა სამოსი. 66. გერმანელი კომპოზიტორი, გეორგ ფრიდრიჰ... (1685-1759). 67. ***იხილეთ ფოტო.*** 68. დავიწყების მდინარე ძველ ბერძნულ მითოლოგიაში.

69. **(მეშვიდე საპრიზო კითხვა)** ფრჩხილის ირგვლივი რბილი ქსოვილების ანთება.

70. ცნობილი იტალიელი კინომსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ოპერაცია წმინდა იანუარიუსი" (სახელი და გვარი).

**შვეულად:** 2. ქალაქი აშშ-ს ნევადას შტატში, სადაც აშშ-ს ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი მდებარეობს. 3. გერმანული ლიტერატურული მოძრაობის, „ქარიშხლის და შეტევის", ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

5. **(მერვე საპრიზო კითხვა)** ჩაწერეთ რა ჰქვია იმ სახელმწიფოს ერთ-ერთ „მეექვსედს", რომლის სახელწოდებაც ლათინური წარმოშობისაა და „სამხრეთს" ნიშნავს.

6. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი. 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა. 9. ამერიკელი „ძროხის ბიჭი". 10. ჯალათის სამოღვაწეო სივრცე. 11. საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ქედი. 12. სადაური იყო ეროვნებით ნორგეი თენცინგი? 13. იანუშ კორჩაკისეული მეფის სახელი. 17. აღმაშენებლის გამზირის პარალელური ქუჩის ნათლია თბილისში. 18. თანამედროვე რუსი ფეხბურთელი. 21. ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი სამხრეთ საქართველოში. 22. ერთ-ერთი ბაქოელი კომისართაგანი. 26. XIX საუკუნეში მოღვაწე რუსი პოეტი. 27. გერმანული წარმოების ავტომობილი. 28. ძუძუმწოვარა მცოხნელთა კუჭის ერთ-ერთი განყოფილება ფაშვთან, მაჭიკთან და ბადურასთან ერთად. 32. ის, რის გულისათვისაც ამჟამად ერთმანეთს „რომა", „ლაციო" და „იუვენტუსი" ერკინებიან.




33. **(მეცხრე საპრიზო კითხვა)** „დიდი ხუთეული"-ს ერთ-ერთი წევრი, ლარიონოვთან, მაკაროვთან, კასატონოვთან და ფეტისოვთან ერთად.

34. იტალიელები ამ ადამიანს ჯულიო ჩეზარეს უწოდებენ, თქვენ მისი მკვლელი გაიხსენეთ. 35. მეფე ოიდიპოსის დედა და მეუღლე. 39. მთავარი როლის შემსრულებელი ზაზა კოლელიშვილის ფილმში „გარიგება". 40. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ბედის ირონია, ანუ გაამოთ". 44. ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობა დროის მიხედვით. 45. თბილისის ერთ-ერთი ტოტალიზატორი. 46. თბილისის ერთ-ერთი კინოთეატრი. 50. XX ს შვეიცარიელი მწერალი, ავტორი რომანებისა „**Homo Faber**" და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი". 51. იგივეა, რაც ზუთხი. 52. თანამედროვე ჰოლივუდელი კინორეჟისორი, რომლის პრაქტიკულად ყველა ფილმში მთავარ როლს რობერტ დე ნირო ასრულებს. 56. მოგრძო-მოყვითალო, კურკიანი ტკბილი ნაყოფის მქონე საშუალო სიმაღლის ხე. 57. „მაიმუნების პლანეტის" პერსონაჟი პროფესორის გვარი. 58. კარდინალი მაზარინის წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი მოძრაობა XVII ს საფრანგეთში, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოეფხვრა აბსოლუტიზმი საფრანგეთში. 59. ინგლისურად - Beech, რუსულად - Бук, ქართულად - ? 63. ძველებური სიგრძის საზომი ერთეული.

64. **(მეათე საპრიზო კითხვა)** XIX ს ამერიკელი მწერალი და მოაზროვნე, ჰენრი დევიდ...

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**

**გასული ტურის პასუხები:**

**კროსვორდის პასუხები:** თარაზულად: 1. სუდანი. 4. ბორმანი. 7. ისმაილი. 13. მოლოტოვი. 14. ფრანკლინი. 15. დიდი. 18. რიგა. 19. ვლახეთი. 20. სციპიონი. 23. მეტისი. 24. ადენაუერი. 25. ბერნი. 29. ბოსფორი. 30. მარგალიტი. 34. ინდიანა. 35. **ქარვა**. 36. პატრიოტი. 40. ტროა. 41. **ოსვალდი**. 42. **ფოგთი**. 43. ოლტი. 47. მითები. 48. **პროლეტარი**. 49. ჰორნი. 53. **შაპრუტი**. 54. ავსტრალია. 58. გეტმანი. 59. ჰანოი. 60. გოლოვინი. 64. აზია. 65. ბენკენდორფი. 66. შტორმი. 67. ანაბასისი. 68. პირანია. 70. **სიდი**.

თარაზულად: 1. სემირამიდა. 2. დელეგატი. 3. ნატო. 5. მარათონი. 6. ნანა. 8. სინოპი. 9. ლუიზიანა. 10. ქველი. 11. **ბლიცკრიგი**. 12. სიონი. 16. მხედარი. 17. როჩესტერი. 21. **ისტორია**. 22. დუდაევი. 26. სფინქსი. 27. ალმაათა. 28. **მილიცია**. 31. ინდოეთი. 32. სანდალი. 33. სოსლანი. 37 ატამანი. 38. ბაგრატი. 39. სოკრატე. 44. აბრაამი. 45. სტავროპოლი. 46. ჰორიზონტი. 50. ვრანგელი. 51. კანოე. 52. ნიკიტინი. 55. მესინა. 56. **მარნა**. 57. ფიორდი. 61. ფაშა 62. აკრი. 63. აფრა.

**12 საპრემიო კითხვა**

1. კომპიუტერულ თაგუნაზე.
2. ნაბახუსევს.
3. ნობელის პრემიის ოქროს მედალზე.
4. უნდოდა გამოეცხადებინდა ნიჟარები რომის ფულად ერთეულად.

ბატონმა ჯაბუ ბოხაშვილმა ამ კითხვის პასუხად სხვა დასაბუთებული ვერსიაც მოიძია შესაბამისი ლიტერატურული წყაროს მითითებით – ნიჟარები კალიგულამ გამოიყენა იუნონას და იუპიტერის ტაძრისათვის შესაწირად – ასე, რომ ამ კითხვის ეს პასუხიც ითვლება.

5. პლატინაზე (პლატა - ვერცხლია ესპანურად)
6. თვითმკვლელობაზე
7. ჭია-მაიას
8. კალამბური
9. ანტუან დე სენტ-ეკზიუპერისეულ პატარა უფლისწულზე.
10. ტვინი
11. სიზარმაცე
12. ცვლიდნენ საფეხბურთო კარს, რომელიც მცველმა გატეხა.

**20 ქულა** - ჯაბუ ბოხაშვილი
**19 ქულა** - ლიანა კუსრაძე, ლევან ივანიშვილი, ლილე აქუბარდია, ალეკო ალიმბარაშვილი, თინა ფურცელაძე.
**18 ქულა** - გიორგი გვასალია, ზურა სესიტაშვილი, მუხრან ბიკაშვილი.
**17 ქულა** - ვაჟა პაპუაშვილი, თამუნა კაციტაძე, ზაზა ჩეკურიშვილი, ალექსი ჯუგაშვილი, ნინო დეკანოსიძე.
**16 ქულა** - ნინო მჭედლიძე, გიორგი გელოვანი, ელეონორა ფურცელაძე, გივი გოგოლაშვილი.
**15 ქულა** - მაია ედიშერაშვილი, ლიანა ლოლომაძე, იური გაბრიელიძე, გიორგი წერეთელი, ქეთინო ურუშაძე, თამრიკო დამენია.
**14 ქულა** - მარინე ხაჩირაშვილი, პაატა თალაკვაძე, ცირა პავლიაშვილი.
**13 ქულა** - თამუნა შალიკიანი, დიანა ვართანიანი, ეთერ მიქაძე, მანანა ბუჟღულაშვილი, თინიკო გაბუნია.
**12 ქულა** - დათო ჭილიტაშვილი, დავით მაისურაძე.
**11 ქულა** - ნატო მაღლაკელიძე, ვახტანგ ნანავა, მაკა კახნიაური.
**10 ქულა** - ალექსანდრე გიორგაძე, ლია გაბედავა, დათო გაგნიძე, გიორგი ჩხეიძე.
**9 ქულა** - კობა დალაქიშვილი
**8 ქულა** - ნუგზარ ბაჩუკაშვილი, კახაბერ ბიკაშვილი, ოთო გიორგაძე, ვახტანგ ნოზაძე, გოჩა ლობჟანიძე.
**7 ქულა** - ირაკლი გიგაური.
**6 ქულა** - სოსო ნიკოლაიშვილი.
**5 ქულა** - ნუგზარ ინასარიძე.
**4 ქულა** - თინიკო ციქურიშვილი, იანა ბერიძე.

...ტურნირი ძნელია, კითხვები - რთული, თუმცა ეს არ არის იმის გამართლება, რომ „ეშმაკური" ხერხებით მიიღოთ სასურველი ქულები, ანუ - როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ გვაცნობა, მავანნი არეკინებენ არამონაწილეებს და ჩვენთან გასაუბრებისას კითხვების სისწორე-მცდარობის მოსინჯვის შედეგად ახერხებენ ზუსტი პასუხის დადგენას...

ამგვარ ქმედებაში ჩვენც რამოდენიმეჯერ ვამხილეთ ზოგი მონაწილე და ამიტომ ახლაც გვსურს გამეორება:

საკროსვორდო ტურნირს ჩვენთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ მას უზარმაზარი ინტერესით ვეკიდებით, დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენც იგივე განწყობა გაქვთ ამგვარი ინტელექტუალური გართობის მიმართ, ამიტომ ჩვენც ვეცდებით და თქვენც შეეცადეთ, რომ ეს ჩვენი კარგი დასვენებ-გართობა ზომიერებისა და სამართლიანობის ფარგლებში ჩატარდეს.

...რაც შეეხება, სადავო საკითხების განხილვას, ჩვენ მზად ვართ ყველა დასაბუთებული შენიშვნა მივიღოთ და კორექტივები შევიტანოთ ჩემპიონატის მსვლელობაში.

...დაინტერესებულ პირებს კი ვაცნობებთ, რომ პირველი ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა კვლავ გაურკვეველია (ჩვენი ავადმყოფობისა გამო) და, ალბათ, სულ მალე ამასაც გავარკვევთ.

# 12 საპრემიო კითხვა

**კითხვა 1**: ადამიანთა სამი ჯგუფის გამოკვლევის შედეგად ჰოლანდიელი ექიმები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ისინი, რომლებიც სარგებლობენ *ოთხით*, კვდებიან 3,5 წლით ადრე, ვიდრე ისინი, რომლებიც არ სარგებლობენ *არცერთით*. მაგრამ ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ ისინი, რომლებიც იყენებენ *ორს*. რა აღინიშნება ამ რიცხვებით?

**კითხვა 2:** ესკიმოსებში და უკიდურესი ჩრდილოეთის სხვა ხალხებში მამაკაცისათვის ყველაზე სასურველ საცოლედ ითვლება მრავალშვილიანი ქვრივი. რატომ?

**კითხვა 3**: გამოჩენილ ჰოლანდიელ ფეხბურთელს, დენის ბერგკამპს, მამამისმა სახელი ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელის, დენის ლოუს საპატივსაცემოდ დაარქვა. თუმცა ბერგკამპის მამა იძულებული იყო თავისი შვილის სახელში ჩაემატებინა კიდევ ერთი ასო „n" (Dennis)... რატომ?

**კითხვა 4**: ბირმის სახელმწიფო ასტროლოგმა ჯერ კიდევ 1989 წელს განაცხადა, რომ მისი აზრით სსკპ ცკ-ს გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი წარსულ ცხოვრებაში იყო ბირმელი.

რით დაასაბუთა ასტროლოგმა თავისი განცხადება?

**კითხვა 5**: ერთხელ ერთმა ოფიცერმა მიიღო ბრძანება დანიშნულების ადგილზე მიეტანა მნიშვნელოვანი პაკეტი შტაბიდან ფრონტის წინახაზზე. ის შეახტა ცხენს და გააჭენა ბრძოლის ველზე. მტრებმა ის შენიშნეს და გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ პაკეტი. მათ ოფიცერს ცხენი მოუკლეს, თუმცა ოფიცერმა პისტოლეტიდან მიზანში ზუსტი სროლით და ფარიკაობის უბადლო ცოდნით შეძლო მიეღწია მდინარის ნაპირისათვის. გადაცურა მდინარე და გაირბინა რა რამოდენიმე კილომეტრი ტყეში, ბოლოსდაბოლოს, მან შეძლო პაკეტი დანიშნულების ადგილზე მიეტანა. ეს ისტორია შთამომავლებმა არ დაივიწყეს და ის იმას დაუდეს საფუძვლად, რაც თქვენ უნდა გაიხსენოთ... რას?

**კითხვა 6**: ინტერპოლის საგამომძიებო მუშაკებმა მისცეს სახელწოდება დამნაშავეს, რომელმაც მოიპარა ევროპული ვალუტის, ევროს დასაბეჭდი კლიშეები. ეს სახელწოდება ემთხვევა იმის სახელს, ვინც დაახლოებით იგივე რამ მოიმოქმედა ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ... მაშ რა სახელი უწოდეს დამნაშავეებს?

**კითხვა 7**: ასეთი სახელწოდების მქონე ბაყაყი ყველაზე დიდია ბაყაყებს შორის. ამავე დროს, ასეთი სახელწოდების მქონე ხოჭოც უდიდესია მის „თანამოძმეთა" შორის... ვინ მოკლა ასეთი სახელის მქონე ადამიანი?

**კითხვა 8**: ერთ დროს პრაღა, იმპერატორ რუდოლფ II-ის ზეობის დროს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო ევროპაში. პრაღაში ამ დროისათვის მოღვაწეობდა რაბინი სახელად ლეო, რომელსაც სახელი ჰქონდა განთქმული თავისი განსწავლულობით. სწორედ მან თიხისაგან გამოძერწა ხელოვნური ადამიანი, რომელსაც გოლემი უწოდა... ჩვენს დროში ხსენებულ გოლემს უწოდებდნენ სიტყვას, რომელიც პირველად გამოიყენა ერთმა ჩეხმა მწერალმა გასული საუკუნის 30-იან წლებში თავის ერთ-ერთ პიესაში... მაშ რა სიტყვით მოიხსენიებდნენ გოლემს ახლა?

**კითხვა 9**: მათ შორის შეიძლება შეხვდეთ შემდეგი სახელის მქონე ობიექტებს: სიკეთე, მიწა, ხალხი, სიმშვიდე, სიტყვა, ჭიაყელა... რას აღნიშნავენ ეს სახელები?

**კითხვა 10**: ამ პროდუქტს გემო პირველად არაბებმა გაუსინჯეს, ხოლო ევროპაში ეს პროდუქტი XVII საუკუნეში შემოვიდა. ამ პროდუქტის სახელწოდება არაბული წარმოშობისაა და „ამაღელვებელს" ნიშნავს. თუ მიხვდით რომელ პროდუქტზეა საუბარი დაასახელეთ მეფე, რომლის სახელსაც ატარებს ამ პროდუქტის ერთ-ერთი სახეობა.

**კითხვა 11**: ძნელია საერთო უპოვო: კომპიუტერის კლავიატურის ღილაკს, ერთგვარ ასაფეთქებელ მოწყობილობას და სპორტის ამ სახეობას. თუმცა თუ ეს მოახერხეთ, დაასახელეთ ცნობილი ძმების გვარი, რომლებიც სპორტის ამ სახეობით არიან დაკავებულნი.

**კითხვა 12**: თურქეთის შეიარაღებულ ძალებში უმცროს ოფიცერთა შემადგენლობისათვის დაწესებულია შემდეგი წოდებები: „ასტეგმენ", - უმცროსი ლეიტენანტი, „ტეგმენ" - ლეიტენანტი, „იუსტეგმენ" - უფროსი ლეიტენანტი. რა შემთხვევაში ემატება ამ წოდებებს სიტყვა „დენიზ"?

## აფორიზმი

„დადგება დრო, როცა ავადობა უკულტურობის დასტური გახდება. მაშინ სნეულ ადამიანებს მხოლოდ შერცხვებათ" (ავტორის სახელი და გვარი).

– ეს საკროსვორდო ტურნირის გასული „მალულას" პრინციპზეა დაფუძნებული და საპრიზო ქულების თანდათანობით მატებას გულისხმობს. მოახლოებული ზაფხულის გამო, ტურნირი გაიმართება რვა ტურად (4 მაისი – 29 ივნისი).

– გამარჯვებული მიიღებს „მობილურ" ტელეფონს.

– მე-13 ადგილზე გასულს გადაეცემა 3 ვიდეოკასეტა.

– მეორე ტურში თამაშდება 23 ქულა.

– 10 საპრიზო ქულა კროსვორდიდან და 12 ქულა საპრემიო კითხვებიდან შემდეგნაირად: მოცემული 12 კითხვიდან თქვენ ირჩევთ თქვენთვის სასურველ მხოლოდ 6 კითხვას და ყოველ სწორ პასუხზე დაგერიცხებათ 2 ქულა (12-ივე კითხვაზე ნუ გვიპასუხებთ იმ იმედით, რომ ექვსს მაინც გამოიცნობთ).

– კიდევ ერთ ქულას მიიღებთ, თუ აფორიზმის ავტორის სახელსა და გვარსაც გამოიცნობთ.

– დაგვირეკეთ შაბათს, 12 მაისს, 12–14 საათებში

– ტელეფონები: 79–53–70 ან (8–77) 72–61–18

# ვინ არის ყველაზე ჭკვიანი მაისში?

*ვიქტორინა ჩატარდება ოთხ ტურად; ყველაზე მეტი ქულის დამგროვებელი მიიღებს მაისის ყველაზე ჭკვიანი „ფანტაზიელის“ ტიტულს; მეორე ადგილზე გასულს შეხვდება 50 ლარი, მესამე ადგილზე გასულს კი - 20 ლარი.*

*დაგვირეკეთ გაზეთის გამოსვლის დღეს, პარასკევს, 11 მაისს, საღამოს 18-20 საათებში ტელეფონებზე: 79-53-70 ან (877) 72-61-18.*

**პირველი ტურის პასუხები:**

1. პომადა (ფრანგ. la Pomme - ვაშლი) 2. კვი პაროსის. 3. იტალიური. 4. ოდესის. 5. ალექსანდრე ალიოხინი. 6. ჯული დელპის არ მიუღია მონაწილეობა ფილმში „ბერლინის ცის ქვეშ“. 7. ქორწინებაზე. 8. ავგუსტ ფერდინანდ მებიუსი (მებიუსის ფურცელი). 9. ექენ რასტინიაკი (ყველა დანარჩენი ჟან-პოლია). 10. რესიფი. 11. რიო-დე-ჟანეირო. 12. ასპირინი. 13. პარიზში. 14. მიმდინარეობდა ალექსანდრე გრაჰამ ბელის დაკრძალვა. 15. კრივი.

**პირველი ტურის შედეგები:**

**14 ქულა** - ლილე აქუბარდია, მაია ედიშერაშვილი, ლიანა ლოლომაძე. **13 ქულა** - ნუკრი მაისურაძე, თინა ფურცელაძე. **12 ქულა** - ელეონრა ფურცელაძე, რუსუდან გურგენიძე, გიორგი წერეთელი. **11 ქულა** - დათო გურგენიძე, ნინო მჭედლიძე, დიანა ვართანიანი, ალეკო ალიმბარაშვილი, გიორგი გვასალია, მარიამ ხაჭაპურიძე, ვაჟა პაპუაშვილი, ანდრო მჭედლიშვილი. **10 ქულა** - ნიკოლოზ წიქარიშვილი, პაატა თალაკვაძე. **9 ქულა** - ნუნუ გურგენიძე, ლია გაბედავა, მადონა ხეცაძე, გიორგი გელოვანი, დათო ჭილიტაშვილი, ნუგზარ ბაჩუკაშვილი. **8 ქულა** - თეა პირველი, თინათინ ციქურიშვილი. **7 ქულა** - ნანა ძამაშვილი, თიკო გაბუნია. **6 ქულა** - ცირა პავლიაშვილი, მარინა ცომაია, ოთო გიორგაძე. **5 ქულა** -ვახტანგ ნანავა. **4 ქულა** - თეონა თელია. **3 ქულა** - კახა ლელუაშვილი.

## მეორე ტური (11 მაისი, პარასკევი, 18-20 სთ)

**1) *ის*, რაც საერთო აქვთ აშშ-ს ერთ პრეზიდენტს და ერთ გერმანელ ფილოსოფოსს წარმოადგენს ერთი ჰოლივუდელი მსახიობის გვარს... რა ჰქვია ამ მსახიობს?**

ა) ენტონი ბ) ბრედი გ) ტომი დ) რუტგერი.

**2) ვინ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო სიდნეის ოლიმპიადაზე ფეხბურთში ქალებს შორის?**

ა) ნორვეგია ბ) გერმანია გ) აშშ დ) სამხრეთ კორეა.

**3) რომელი ნივთის გამოყენების შესახებ დაწერა დიდტანიანი წიგნი ონორე დე ბალზაკმა?**

ა) ხელთათმანის ბ) ჰალსტუხის გ) „ბრეგეტის“ ფირმის საათის დ) სამელნეს.

**4) რომელმა ამერიკელმა მწერალმა გამოიგონა ბლოკნოტი?**

ა) მარკ ტვენმა ბ) ჯეკ ლონდონმა გ) ოლივერ უენდელ ჰოლმსმა დ) თეოდორ დრაიზერმა

**5) ატლანტისი, ჩელინჯერი, დისქავერი, კოლუმბია, ინდევორი... რა არის თითოეული მათგანი?**

ა) სპეის შატლი ბ) ჯეიმს კუკის ხომალდი გ) ჯონ კასავეტესის ფილმი დ) კომპიუტერის ვირუსი.

**6) თუ არ ჩავთვლით მწვანე თუთიყუშს ისინი იყვნენ ექვსნი: ჰერმან ვატცინგერი, კნუტ ჰაუგლანდი, ტორსტეინ რობიუ, ბენგტ ემერიკ დანიელსონი, ერიკ ჰესელბერგი... და ვინ?**

ა) ალფრედ ნობელი ბ) ერიკ ტორვალდსენი, მეტსახელად მწითური გ) ტურ ჰეიერდალი დ) რუალ ამუნდსენი.

**7) რა უწოდეს იაპონელებმა თვითმფრინავს, რომელმაც პირველმა დაძლია ტოკიოსა და ლონდონს შორის არსებული საჰაერო სივრცე 51 საათში?**

ა) ზებგერითი თვითმფრინავი ბ) სამურაის სუნთქვა გ) ჰოტოტოგისუ, ანუ გუგული დ) კამიკაძე.

**8) ქალაქ ბალტიმორის ამერიკული ფეხბურთის პროფესიული გუნდის, „ბალტიმორ რეივენსის“ სიმბოლოა სამი ყვავი... რა ჰქვიათ ამ ყვავებს?**

ა) ალანი, პო და ედგარი ბ) ბილი, ჰილარი და ჩელსი გ) მათ სახელები არ აქვთ დ) ამ გუნდის სამი დამაარსებლის სახელები.

**9) რომელი მათგანია ჩამოთვლილთაგან ზედმეტი, რაღაც მოსაზრების გამო?**

ა) მოლიერი ბ) ტირსო დე მოლინა გ) ბაირონი დ) ტოლსტოი.

**10) იაპონურ ენაში არსებობს ასეთი ზმნა — „ტერენე“... ამ ზმნაში „ნე“ ითარგმნება, როგორც „ჯდომა“, რა ნივთს აღნიშნავს სიტყვა „ტერე“ (თუ ამ ნივთის წინ ჯდომა იაპონელებმა XX საუკუნეში დაიწყეს)?**

ა) კომპიუტერს ბ) ტელევიზორს გ) ვიდეომაგნიტოფონს დ) სარეცხ მანქანას

**11) რომელი ცნობილი საბჭოთა მსახიობი თამაშობდა ფილმში „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ საკუთარ თავს:**

ა) ალექსეი ბატალოვი; ბ) ალისა ფრეინდლიხი გ) ინოკენტი სმოკტუნოვსკი დ) იური ნიკულინი.

**12) რის შესახებ თქვა მოდელიორმა გუსტავ საიდოკმა შემდეგი სიტყვები: „ეს არის ის, რაც დარჩა ქალის კოსტუმისაგან ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ“?**

ა) ბიკინის ბ) ბიუსტჰალტერის გ) ღილების დ) ფერფლის.

**13) 1987 წელს რუსული წარმოშობის ფრანგმა კინორეჟისორმა, როჟე ვადიმმა, დაწერა წიგნი — „(სამი სახელი და გვარი): ჩემი ცხოვრება მსოფლიოს სამი ულამაზესი ქალის გარშემო“... რომელი მათგანი არ ფიგურირებდა ამ წიგნის სათაურში ხსენებულ სამ სახელ და გვარში?**

ა) ბრიჯიტ ბარდო ბ) სოფი ლორენი გ) კატრინ დენევი დ) ჯეინ ფონდა.

**14) იხილეთ ფოტო და გვიპასუხეთ: რომელ ფილმში არ მიუღია მონაწილეობა ამ მსახიობს?**



ა) **Гараж** ბ) **Тегеран-43** გ) **Собака на сене** დ) **Звезда пленительного счастья**

**15) რა ერქვა 1990-იან წლებში უშაქრო, უკარაქო და უკვერცხო ნამცხვარს? (ფაქტი აღებულია აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებიდან“).**

ა) სიგუა ბ) კიტოვანი გ) იოსელიანი დ) გამსახურდია

## ლალი ჭიჭინაძის კროსვორდი

**თარაზულად**: ***1***. ბელორუსი საბჭოთა პოეტი, ავტორი მშვენიერი ლექსისა „გენაცვალე“; მისი ნამდვილი სახელი და გვარია ივანე დომინიკის ძე ლუცევიჩი. ***4***. კლდეში ნაკვეთი ქალაქი გორის რაიონში. ***8***. პოპულარული მელოდია, რომელიც დაწერილია სპეციალურად კინოფილმის ან სპექტაკლისათვის. ***15***. ცოცხალი ორგანიზმის უნარი გადასცეს თავისი ფიზიკური და ფსიქიური თავისებურებანი შთამომავლობას. ***16***. როგორია საკუთარი ღირსების გრძნობით განმსჭვალული ადამიანი. ***17***. ივლისის ქართული ხალხური სახელწოდება. ***20***. რა ეკიდება ადამიანს უინტერესო წიგნის კითხვისას? ***21***. რა ერქვა ძველ რომში მოსავლის ქალღმერთს? ***22***. XIX ს. რუსი პოეტი. ***23***. მოლიერის ერთ-ერთი კომედია. ***28***. ნანა თუთბერიძის საავტორო გადაცემის სახელწოდება საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე. ***29***. „შერლოკ ჰოლმსის“ მშობელი არტურ .... ***32***. მაროს მეგობარი ქართულ ხალხურ სიმღერაში. ***33***. ერთ-ერთი არითმეტიკული მოქმედების შედეგი. ***34***. ტაძარი ქუთაისის მახლობლად, რომელიც ატარებს ქართველი მეფეების სახელს. ***35***. პოლონეთის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე. ***39***. ის, რასაც ადამიანი განიცდის დაშვებული შეცდომების შემდეგ. ***40***. ასანთის კოლოფების ეტიკეტების კოლექციონერი. ***41***. ბაშკირეთის დედაქალაქი. ***45***. მეკობრეთა მსუბუქი სწრაფმავალი გემის სახელი XVI-XVIII საუკუნეებში. ***46***. რომის იმპერატორი, რომლის სახელობის სვეტიც ააგო ბერძენმა არქიტექტორმა აპოლოდორე დამასკელმა რომში 111-114 წლებში. ***47***. თვითმკვლელობა ანუ რა? ***51***. ქათმების მწარმოებელი ბრაზილიური ფირმა. ***52***. რა იყო არმაზი თავისი არსით? ***53***. სინტოიზმის უზენაესი ღვთაება. ***54***. მეტყველების ნაწილი. ***59***. სახელი ადამიანისა, რომელიც წიწამურთან მოკლეს. ***60***. სომეხი საბჭოთა კომპოზიტორი და პიანისტი. ***61***. რა ჰქვია არქიტექტურასა და ქანდაკებაში მრავალი ფერის გამოყენებას? ***64***. სპარსული ენიდან შემოსული სიტყვა, რომელიც ხელფასის სინონიმად გვექცა. ***65***. ასე ჰქვია ჩუკოტკას დასავლეთში. ***66***. გასული საუკუნის ცნობილი ლიტველი კალათბურთელი. ***70***. როგორ ითარგმნება თურქულად „წითელი“ ? ***71***. ყბის ძვლის თითოეული ფოსო, რომელშიც მოთავსებულია კბილი. ***72***. ენაჩლუნგობა ანუ რა? ***76***. ის, რისი ყლაპიაც არის ერთი ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟი. ***77***. „გედების ტბის“პერსონაჟი. ***78***. აშშ-ს შტატი. ***79***. პორტუგალიელი მწერლის დე კეიროშის სახელი. ***85***. იაპონიის ქალაქი, რომელიც 1995 წელს მიწისძვრამ დაანგრია. ***86***. უცხოელებით დასახლებული სპეციალური კვარტალი ჩინეთის ქალაქებში, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ განსაკუთრებული უფლებები. ***87***. ანტონ ჩეხოვის მეუღლის გვარი. ***88***. სისხლის საერთო ანალიზის ერთ-ერთი პარამეტრის ქართული აბრევიატურა. ***92***. სომხური წარმოშობის ფრანგი ფეხბურთელი. ***93***. ზარმაცისა და უქნარას სინონიმი. ***94***. ქართული საბავშვო მხატვრული ფილმის „არდადეგები“ სცენარის ავტორი. ***97***. XIX საუკუნის რუსი ფერმწერი, „პერედვიჟნიკების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. ***98***. ჩაკეტილი სივრცის შიში. ***102***. იტალიური ფირმა, რომელიც აწვდის საჭირო ინვენტარს ტელესერიალს „ძილის წინ“. ***103***. თავაზიანობის ფრანგული სინონიმი. ***104***. რთული სიტყვის პირველი ნაწილი, რომელიც მიანიშნებს რაიმე ძირითადის ნაწილზე. ***109***. რა არის კრეტსაბმელი? ***110***. საწერი მაგიდის ნაირსახეობა. ***111***. ოთხი წევრისაგან შემდგარი მუსიკალური ჯგუფი. ***114***. ჩამოყალიბებული აზრი ვინმეს შესახებ. ***115***. ნალექი ქანის სახელწოდება, რომელიც ალუმინის საუკეთესო მადანს წარმოადგენს. ***116***.

*გაგრძელება მე-13 გვერდზე*



მედიცინაში სისხლნაკლებობას ეწოდება - ანემია, რა ეწოდება სისხლმეტობას? ***117***. ფეხბურთის ლეგენდა. ***121***. ნაწილაკი, რომელიც მიუთითებს მოლაპარაკესთან ახლო მდგომ საგანზე ან ადგილზე. ***122***. მედიცინის დარგი, რომელიც ერთ-ერთი რომაელი ქალღმერთის სახელს ატარებს. ***123***. გასული საუკუნის რუსი პოეტი და მთარგმნელი პაველ გრიგორის ძე... (1896-1978). ***124***. ბერძნულ მითოლოგიაში აგამემნონის ქალიშვილი, რომელიც მამამ არტემიდას მსხვერპლად შესწირა. ***125***. ყველაფრის ხელაღებით უარყოფა. ***126***. ჯაჭვის პერანგით აღჭურვილი მხედარი.

**შვეულად**: ***1***. რა ერქვათ იმ ადამიანებს, რომლებმაც ბავშვობაში დაამახინჯეს გუინპლენი? ***2***. ამერიკელი „სექს-ბომბის" ანდერსონის სახელი. ***3***. რუსული კალკი, რომელსაც უწოდებდნენ აღურიცხავ საქონელს კომუნისტურ ეპოქაში. ***5***. რუსული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი ქალი. ***6***. დაკოდილი ცხენი. ***7***. ბაბილონის მეფე ძვ. წ. 1792-1750 წლებში, ჩვენამდე მოღწეული კანონთა კრებულის ავტორი. ***9***. მე-5 თითის სახელწოდება. ***10***. მწვერვალი კავკასიონზე, სადაც ალპინისტი სიმონ ჯაფარიძე დაიღუპა. ***11***. უმშვენიერესი სოფელი კასპის რაიონში, მდინარე თეძამის ხეობაში, ცნობილი წმ. ესტატეს სახელობის ეკლესიით, სადაც დაკრძალულია გიორგი სააკაძის ვაჟის პაატას თავი. ***12***. ტბა იტალიაში. ***13***. ის, ვისი სახელობისაც იყო ლენინგრადის უნივერსიტეტი. ***14***. რა ჰქვია იოგს, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე. ***18***. გერმანული ფეხბურთის ლეგენდა. ***19***. თვითმპყრობელი ანუ ვინ? ***24***. რისამე მოქმედების ვადის გაგრძელება ანუ რა? ***25***. დაავადება, რომელსაც კოღო ანოფელესი ავრცელებს. ***26***. რა ჰქვია მედუდუკეთა ანსამბლს ზოგადად? ***27***. იტალიელი კომპოზიტორი. ***30***. მე-19 საუკუნეში მიმდინარეობა სკანდინავიის ქვეყნებში, რომელიც მიზნად ისახავდა ამ სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ გაერთიანებას. ***31***. სხვისი ნება-სურვილის შემსრულებელი ადამიანი. ***36***. ბოქლომის სინონიმი. ***37***. რა ერქვა იტალიელ მომღერალს - ჯილის? ***38***. ფლორენციის სამხატვრო მუზეუმი. ***42***. პატარა ქალაქი ჩინეთის კუთვნილ კუნძულ ხაინანზე. ***43***. სამოქალაქო სამართალში — ანდერძში სათადარიგო მემკვიდრის დასახელება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მემკვიდრე გარდაიცვლება ან უარს აცხადებს მასზე. ***44***. მორცხვისა და მოკრძალებულის სინონიმი. ***48***. გამაგრილებელი გაზიანი სასმელი. ***49***. ქალაქი სლოვენიაში. ***50***. ასე მიმართავენ ფრანგ გათხოვილ ქალებს. ***55***. ჩვენი მთავრობის „აქილევსის ქუსლი". ***56***. ქალაქი იტალიაში, სადაც ტრადიციული საესტრადო ფესტივალი იმართება. ***57***. ჩვენში მას „შავ წიწაკას"უწოდებენ. ***58***. ჩვ. წ. აღ-ის I საუკუნის შუა წლების გამოჩენილი რომაელი იურისტი. ***62***. ყველაზე ცხელი და უნალექო თვე საქართველოში. ***63***. სამეჯლისო ცეკვის სახესხვაობა. ***67***. უკულტურო ადამიანის ქართული სინონიმი. ***68***. ის ყაზახეთისთვის იგივეა, რაც საქართველოსთვის გუდაური. ***69***. რით შეცვალა სიტყვა „რესპუბლიკა" მუამარ კადაფიმ თავისი ქვეყნის სახელწოდებაში? ***73***. საფრანგეთის რომელი ქალაქის ასოციაციას იწვევს სიტყვა ქოლგა? ***74***. კარიერაში კრიმინალური ჩანართით ცნობილი რუსი ფეხბურთელი. ***75***. ჩინური ხალხური კლასიკური მედიცინის მეთოდი - ნემსით ჩხვლეტით მკურნალობა. ***80***. ქართული გვარის მქონე რუსი ბარდი. ***81***. ქაღალდზე ნახვრეტების გასაკეთებელი მოწყობილობა. ***82***. სოფელი გორის რნ-ში. ***83***. ქალაქი ჩრდ.-დას. ციმბირში. ***84***. გოდერძი ჩოხელის მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი „ ... დედა". ***89***. ორი მოვლენის, მოქმედების მუდმივი თანაფარდობა და თანაარსებობა. ***90***. ეს სიტყვა ფრანგულად ითარგმნება, როგორც „ბრწყინვალე". ***91***. დაუდეგარი ანუ როგორი? ***95***. სიტყვა, რომლითაც ესალმებოდნენ ებრაელები ქრისტეს იერუსალიმში შესვლისას. ***96***. როგორი რევოლუცია განახორციელ მაო ძე დუნმა 1966-1976 წლებში? ***99***. ევროპის სახელმწიფო. ***100***. ხანგრძლივად პრივილეგირებული ქართული გვარი. ***101***. ებრაელების მოძულე ადამიანი ანუ? ***105***. რუსეთის საფეხბურთო კლუბი. ***106***. ამერიკელთა საყვარელი სპორტი. ***107***. სტიქიური მოვლენა. ***108***. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი ანტისაბჭოთა ამბოხების ორგანიზატორი. ***112***. შექსპირისეული პერსონაჟი. ***113***. რა ჰქვია ონასისის ერთადერთ შვილიშვილს? ***118***. ბარბის „ბოიფრენდი". ***119***. კომპიუტერის ინფორმაციული ერთეული. ***120***. მუს. ნაწარმოების დამამთავრებელი ნაწილი.

217-ე ნომერში მთლიანად იქნა განმეორებული
216-ე გვერდის მე-14 გვერდი, რადგან ეს გვერდი
წინა ნომერში დაიბეჭდა უკუღმა და მომდევნოში ჩავდეთ
ნორმალური სახით

## *პიერ ბული*

*(გაგრძელება, დასაწყისი „ფანტაზია" № 11-ში, თარგმნის ალ.ელერდაშვილი)*

*Pierre Boulle* Planete des Singes
*Paris, 1962*

# მაიმუნების პლანეტა



მდელოზე გამართული ხოცვა-ჟლეტა კვლავ გამახსენდა და კანკალმა ამიტანა. აი, ახლაღა მივხვდი, თუ რატომ მოეპყრა ნოვა ასე სასტიკად დედამიწიდან წამოყოლილ ჩვენს პატარა შიმპანზეს. აქ, სორორაზე, ადამიანებს და მაიმუნებს თურმე საშინლად სძულდათ ერთმანეთი. ამაში დარწმუნება სულ ადვილი იყო იმის შემხედვარე, თუ როგორ რეაგირებდნენ ბადეში ჩემთან ერთად გახლართული ტყვეები მონადირე მაიმუნების მოახლოებაზე. მათ შიშის ზარი იპყრობდათ,ფართხალებდნენ, დაოთხილნი ხტოდნენ, ცოფიანებივით აკრაჭუნებდნენ კბილებს და დუქმორეული ტუჩ-კბილით ბადის გაღრღნას ცდილობდნენ.

ყოველივე ამას არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ გორილა-მონადირეები, რომლებსაც მე უკვე უნებლიედ ბატონებს ვუწოდებდი, და თავის მსახურებს რაღაც დავალებებს აძლევდნენ. ბუჩქებს უკან მიმალული გზიდან პატარა ზომის ტრაქტორები გამოჩნდნენ თავისი მისაბმელებით, რომლებზედაც გალიები იყო დადგმული. ჩვენ სწორედ ამ გალიებში ჩაგყარეს, თითოში - დაახლოებით ათითორმეტი ტყვე და ამ პროცესმა საკმაოდ დიდი დრო წაიღო, რადგან ადამიანები მაინც მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ სორორელ ბატონებს. ორი მსახური შიმპანზე, რომლებსაც კბენისაგან დასაცავად ხელებზე ტყავის გრძელი ხელთათმანები ჰქონდათ წამოცმული, სათითაოდ ხელებს უგრეხდნენ ბადეში გახლართულთ, გალიაში აგდებდნენ და სასწრაფოდ კეტავდნენ კარს; და მთელ ამ საქმიანობას ერთი გორილა-ბატონი ხელმძღვანელობდა, რომელიც უდარდელად იყო დაყრდნობილი ხელჯოხზე.

ჩემი რიგი რომ დადგა, ლაპარაკის წამოწყება მინდოდა ყურადღების მისაპყრობად, მაგრამ რაწამს პირი გავაღე, მაიმუნი თათით უმალ მწვდა ყბებზე და პირი მომიკუმა, ჩათვალა რა, რომ მეც კბენას ვაპირებდი. აბა, როგორღა დავილაპარაკებდი?! მეც ტომარასავით შემაგდეს გალიაში და ათიოდე სხვა ქალსა და კაცს შორის აღმოვჩნდი, რომლებიც იმდენად აღელვებულნი იყვნენ, რომ ჩემთვის არც კი შემოუხედავთ.

ყველა ტყვე საიმედოდ რომ განათავსეს გალიებში, მსახურმა მაიმუნმა რაღაც უთხრა თავის ბატონს, რომელმაც ხელი აიქნია და იქაურობა ძრავების გრუხუნმა გააყრუა. ტრაქტორებსაც და მის მისაბმელებსაც ასევე მაიმუნები მართავდნენ. მე კარგად ვხედავდი ერთი მძღოლის სახეს, რომელიც ჩვენს გალიას მოსდევდა, ეს იყო მამრი შიმპანზე, რომელსაც ლურჯი კომბინიზონი ეცვა; როგორც ჩანს, იგი მშვენიერ გუნება-განწყობაზე იყო, რაკიღა ვამჩნევდი, რომ ჩვენს მიმართ რაღაც ირონიულ ფრაზებს ისროდა და დროდადრო წამოიღიღინებდა ხოლმე კიდეც. ძრავების ხმა მცირედით რომ სუსტდებოდა, ჩემს ყურთასმენას ამ ღიღინის მელოდიაც სწვდებოდა, რაც არცთუ ურიგო რამ გახლდათ.

ჩვენი მოგზაურობის პირველი ეტაპი იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ მე აზრების მოკრებაც ვერ მოვასწარი. დანგრეულ გზაზე თხუთმეტიოდე წუთის ჭანჭყარის შემდეგ ჩვენი ქარავანი ქვით ნაშენები სახლის წინ გადაშლილ პატარა მოედანზე შეჩერდა. ეს ტყის განაპირი გახლდათ და მის იქით, სადამდეც თვალი მიმიწვდებოდა, მოჩანდა რაღაც უცხო მარცვლეული კულტურით დათესილი მინდვრები.

სახლი, რომელიც წითელი კრამიტით იყო გადახურული და მწვანე დარაბები ჰქონდა, ძალზედ წააგავდა საგზაო ფუნდუკს. ძნელი არ იყო იმის გააზრება, რომ ეს მონადირის სახლი გახლდათ. აქ მსახური შიმპანზეები დაელოდნენ თავის ბატონებს, რომლებიც საკუთარი ავტომობილებით, როგორც ჩანს, სხვა გზით წამოვიდნენ. სახლის სიახლოვეს, ჩვენი პალმების მსგავსი ხეების ჩრდილში ქალბატონი-გორილები იყვნენ თავმოყრილნი, უდარდელად ლაქლაქებდნენ და რაღაც-რაღაც სასმელებსაც სიამოვნებით მიირთმევდნენ.

ტრაქტორის მისაბმელები სადგომზე რომ ჩაამწკრივეს, ქალბატონი-გორილები მოგვიახლოვდნენ და ინტერესით დაუწყეს ნადავლს თვალიერება, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ისინი იჩენდნენ დახოცილი ნანადირევის მიმართ, რომლებიც ორი დიდი სატვირთო ავტომანქანით მოიტანს, მოსამსახურე მაიმუნებმა კი გვამები სწორედ იმ ქალბატონების სიახლოვეს, ხეების ჩრდილში ჩაამწკრივეს.

ნანადირევმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე! გვამების განთავსებისას მაიმუნები საოცარ წესრიგს იცავდნენ და მათ, გულაღმა, ისე ალაგებდნენ, გეგონებოდათ, ლარში გაჰყავთო. შემდეგ მდედრი მაიმუნების აღტაცებული შეძახილების თანხლებით გვამების გალამაზებაც კი დაიწყეს: მოკრუნჩხულ ხელებსა და თითებს უშლიდნენ და მუცლებზე უწყობდნენ, მუხლებს ოდნავ უმუშავებდნენ და ფეხებს უმართავდნენ, გვერდზე გადაგდებულ თავებს უსწორებდნენ... ერთი სიტყვით, ცდილობდნენ მსხვერპლთათვის ცოცხლაი, ბუნებრივი სახე მიეცათ. არც თმების დავარცხნას ერიდებოდნენ და ეს განსაკუთრებით ქალების გვამებს სჭირდებოდა, რომლებიც ისევე იყვნენ მაიმუნების ხელში მოქცეულნი, როგორც ფრთებაწეწილი მინდვრის ფრინველები მონადირის ხელში.

ვაი, რომ არ ძალმიძს ზუსტად აღმოვთქვა ის გრძნობები, რაც ამ საშინელმა და ამავე დროს ძრწოლვამდე სასაცილო სანახაობამ წარმოშვა ჩემში. არ ვიცი, როგორ აღვწერო იმ მაიმუნი-ქალბატონების გამომეტყველეანი, რომლებიც ასევე სპორტულ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი, ოღონდ ბევრად უფრო მოხდენილსა და დახვეწილში; ქალბატონებისა, ნადავლის ირგვლივ რომ ხორხოცებდნენ და თითით მიანიშებდნენ ამა თუ იმ მსხვერპლის ღირსებებს თავის გორილა-კავალრებს. ან რა ვთქვა იმ სცენის შესახებ, როცა ერთმა ქალბატონმა ხელჩანთიდან პატარა მაკრატელი ამოიღო, ერთი ლამაზმანის გვამთან ჩაიმუხლა და, მას დააჭრა რა დალალები, შემდეგ ეს თმები საკუთარ შლაპაზე მიიმაგრა. ამის აღწერა ძნელია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ყველა დანარჩენმა მდედრმა გორილამ ხსენებული ქალბატონის მოქმედება გაიმეორა.

და აი, ნადავი დაახარისხეს, გვამებიც აკურატულად ჩაამწკრივეს სამ რიგად და ყოველივე ამას მცხუნვარედ დაჰკაშკაშებდა ზღაპრული სილამაზის ბეთელჰეიზე! მე ავარიდე თვალი ამ სანახაობას და ახალი პერსონაჟი შევნიშნე - მაიმუნი, რომელიც რაღაც სამფეხას მოათრევდა მასზედ დამაგრებული ყუთით. ესეც შიმპანზე იყო. როცა მოგვიახლოვდა, მივხვდი, რომ ფოტოგრაფი გახლდათ, რომელიც თავისი სამაიმუნო შთამომავლობისათვის სახელოვანი ნადირობის დაფიქსირებას აპირებდა. მთელმა ამ რიტუალმა თხუთმეტიოდე წუთს გასტანა. ჯერ ბატონმა გორილებმა ინებეს ცალცალკე სურათის გადაღება, ზოგ მათგანს ნანადირევზე ფეხდადგმულსაც კი მოესურვა კადრში მოხვედრა. მერე ერთადაც შეჯგუფდნენ და გვამების ფონზე ფოტოგრაფს მოუღერეს ყელი. არც მდედრები მოაკლდნენ ამ საზეიმო განწყობას - თითქმის ყოველმა მათგანმა ინება სურათის გადაღება სისხლიანი ნადავლის ფონზე და თან ყოველი მათგანი ცდილობდა ახლად ნაშოვნი დალალები კარგად მოეხვედრებინა კადრში.

ამ ზეიმის შემხედვარე გაგიჟება შეიძლებოდა, მაგრამ ჩემი გაოგნება იმდენად დიდი იყო, რომ ვერანაირ ზღვარს ვერ ვგრძნობდი უგნურებას და გონიერებას შორის. ერთხანს მდუმარედ ვიყავი, თუმცა სისხლი ტვინში შადრევანივით მიჩქეფდა, მაგრამ როცა ერთ-ერთი მდედრი ჩამოჯდა გვამზე, რათა უფრო ეფექტური პოზით აღბეჭდილიყო ფირზე და როცა დავაკვირდი მოკლულის ნაკვთებს, რომელიც მსხვერპლთა საერთო რიგში იწვა, ნაკვთებს, რომლებსაც თავისი ყმაწვილური იერი კვლავაც შერჩენოდათ, მე ნერვებმა მიმტყუნეს... ეს არტურ ლევენი იყო! ჩემი გრძნობები კვლავ უკიდურესად უგნურად ამოიფრქვნენ და ამ ერთდროულად საშიში და სასაცილო სცენის ხილვისას ისტერიული სიცილი დამაწყებინეს.

ვაი, რომ არ მიფიქრია, ვისთან ერთადაც ვიმყოფებოდი გალიაში! მაგრამ მაშინ საერთოდ შემეძლო რამეზე ფიქრი?! მაგრამ იმ პანიკამ, რაც ჩემს მეზობლებს შორის ატყდა, მალევე მიმახვედრა, რომ იმწამს ჩემთან ერთად გალიაში მყოფნი ბევრად უფრო საშიშნი იყვნენ ჩემთვის, ვიდრე მთელი ამ მაიმუნების ხროვა. ყოველი მხრიდან ჩემსკენ დაკუნთული ხელები გამოიშალა; აშკარა იყო, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დამუქრა და სახეზე ხელები ავიფარე, რომ როგორმე სიცილი შემეგუბებინა. ალბათ, ეს არას მიშველიდა და ტყვექმნილი ადამიანები დამახრჩობდნენ, რომ არა ჩვენი მომვლელი მაიმუნები, რომლებიც მალევე მოცვივდნენ და წვეტიანი ჯოხებით ჩვენს გალიაში წესრიგი აღადგინეს. ამასობაში საგაზაო ფუნდუკში ზარი ააწკრიალეს და ტრიუმფატორი გორილები

სადილზე მიიწვიეს. ბატონები დინჯი ნაბიჯით ჯგუფ-ჯგუფად დაიძრნენ ქვის სახლისკენ, შიმპანზე-ფოტოგრაფმაც აკეცა თავისი ხელსაწყო და გაუჩინარდა.

გორილებს არც ჩვენ, ადამიანები, დავვიწყებივართ. მაშინ არ ვიცოდი, რას გვიმზადებდნენ ისინი ჩვენ, ცოცხლადდარჩენილებს, მაგრამ სათანადო ზრუნვას და ყურადღებას რომ გვითმობდნენ, ცხადი გახლდათ. სანამ სადილად შევიდოდნენ, ერთმა ბატონმა გორილამ მითითება მისცა მსახურ მაიმუნს, რომელიც, როგორც ჩანს, იქაურობის პატრონი იყო. ეს უკანასკნელი მაშინვე გამოეშურა ბრძანების შესასრულებლად და მალე ლაქიებმა გალიებში რაღაც სალაფავით სავსე ლითონის ჭურჭლები დაგვიდგეს. შიმშილის გრძნობა არ მაწუხებდა, მაგრამ მაინც დავიწყე სხვებთან ერთად ჭამა, რათა როგორმე ძალა შემენარჩუნებინა. რომ მივუახლოვდი სალაფავის ჭურჭელს, რომლის გარშემოც უკვე თავი მოეყარათ ჩემს მეზობლებს, მეც გავიშვირე საჭმლისკენ ხელი. მათ ერთი კი შემომხედეს მრისხანე თვალებით, მაგრამ აგრესია აღარ გამოუჩენიათ, რადგან საჭმელი საკმარისზე მეტი იყო. სალაფავი საკმაოდ გემრიელი ფაფა აღმოჩნდა, თუმცა რამოდენიმე ლუკმა მაინც ძალდატანებით გადავყლაპე.



ჩვენმა პატრონება არც დესერტი დაიშურეს. ეს საშინელი მონადირენი, რომლებიც ორიოდე საათის წინ შიშის ზარს გვცემდნენ, ახლა საკმაო კეთილგანწყობით გვეპყრობოდნენ, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენც კარგად ვიქცეოდით. გალიის მცველები წინ და უკან დაიარებოდნენ და დროდადრო ჩვენსკენ რაღაც ხილს ისროდნენ და დიდად ერთობოდნენ იმ ზედახორის ხილვით, რაც მათი ნაწყალობევის ხელში ჩაგდებას მოსდევდა ადამიანთა მხრივ. ამ დროს ერთ საინტერესო სცენას შევასწარი თვალი, რამაც ძალზედ დამაფიქრა. პატარა ტყვე გოგონამ ჰაერშივე დაიჭირა ნასროლი ტკბილი ნაყოფი და მას წასართმევად ერთი მოზრდილი კაცი ეძგერა, მაგრამ საქმეში მაიმუნი ჩაერია, რომელმაც ხელი შემოყო გალიაში, კაცი განზე გააგდო და შეშინებულ გოგონას პირდაპირ ხელში მეორე ნაყოფიც ჩაუდო. ასე გაცხადდა ჩემთვის, რომ სორორელი მაიმუნებისათვის არც სიბრალულის გრძნობა ყოფილა უცხო.



დაპურების პროცესი რომ დასრულდა, იქაურობის ხელმძღვანელმა ტყვეების გადაადგილება დაიწყო გალიიდან გალიაში. როგორც ჩანს, ისინი ჩვენ გვახარისხებდნენ,თუმცა,ვერ გავიგე - რა პრინციპით. მეც დიდხანს მატარეს და ბოლოს ყველაზე ლამაზი კაცებისა დაქალების გალიაში შემაგდეს და მივხვდი, რომ ჩვენი მოდგმის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის ამოვყავი თავი. ეს, კაცმა რომ თქვას, მესიამოვნა კიდეც, რომ მაიმუნებმა მე ადამიანურ იერსახეთა ელიტას მიმაკუთვნეს.

დიდი გაოცებითა და სიხარულით აღმოვაჩინე, რომ რჩეულთა შორის იყო ნოვაც! ისიც გადარჩენოდა სიკვდილს და მადლობის ნიშნად ბეთელჰეიზეს ციური თაღებისაკენ ავაპყარი მზერა. თურმე მთელი ამხნის მანძილზე მოკლულთა შორის სწორედ ნოვას დავეძებდი მზერით და ქვეცნობიერად იმის შიში მქონდა, რომ გვამებს შორის, შესაძლოა, მისი მშვენიერი სხეულიც დამენახა. ასე მეგონა, ხანგრძლივი განშორების შემდეგ სატრფო ვიპოვე-მეთქი და მისკენ კვლავ თავდავიწყებით გავიწიე. ასე ხელგაშლილი და გაღიმებული რომ დამინახა, მივხვდი, კიდევ ერთ უგნურებას ვჩადიოდი. ჩემმა ჟესტებმა იგი გააშმაგეს. ნუთუ... ნუთუ მას აღარ ახსოვდა წუხანდელი ღამე?! ნუთუ ამ მშვენიერ სხეულში სულის ნატამალი არ იყო?! მე ყველა ძალა და იმედი წამერთვა, როცა დავინახე, რომ ჩემს მიახლოებას იგი კლანჭებშემართული ელოდა და მზად იყო დასახრჩობად ყელში მწვდომოდა. და, ალბათ, ასეც მოხდებოდა, თუ არ შევჩერდებოდი.

ადგილზე გავქვავდი და ნოვაც მალევე დამშვიდდა. იგი გალიის კუთხეში მიიყუჟა და მეც მას მივბაძე. მალე იმ გალიაში მყოფი ყველა ტყვე ჩამოჯდა და აშკარად ეტყობოდათ სახეებზე, რომ ასე დათრგუნვილ-დაღლილნი საბოლოოდ შეგუებოდნენ თავის ხვედრს.

მაიმუნები კი ამასობაში გასამგზავრებლად მოემზადნენ. ჩვენს გალიას ბრეზენტი გადააფარეს, რომელიც ნახევრად ფარავდა მას და თავისუფლად შემეძლო გზის თვალიერება. გაისმა ბრძანებები, ამუშავდა ძრავები და რომელიღაც მიმართულებით აწ უკვე მეტი სისწრაფით გაგვაქანეს.

მე კი ვიწექი და ვცდილობდი წარმომედგინა, თუ კიდევ რა განსაცდელს მიმზადებდა ეს პლანეტა სორორა?

## მეთერთმეტე თავი

თავს მთლიანად დაცემულად და გადათელილად ვგრძნობდი. უკანასკნელი ორი დღის მოვლენებმა ფიზიკურადაც გამტეხეს და ჩემი გონება ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩაძირეს, რომ არ შემეძლო არც მეგობრების დატირება და არც ბოლომდე წარმოდგენა იმისა, თუ რას ნიშნავდა ჩემთვის ჩვენი კოსმოსური კატარღის განადგურება. ამიტომაც თითქმის შვებით შევხვდი საღამოს ბინდს და მის კვალდაკვალ ჩამოწოლილ სიბნელეს, რომელმაც თითქოს საკუთარ თავთან მარტო დამტოვა და იმასღა ვგრძნობდი, რომ მთელი ღამის განმავლობაში არ შევჩერებულვართ. ვცდილობდი მცირეოდენ მაინც გამეაზრებინა შექმნილი სიტუაცია. ეს აუცილებელი იყო ჩემთვის: მე უნდა მეფიქრა, მეფიქრა, მეფიქრა, რომ ჩემს შორიახლოს ჩასაფრებული უგნურების მსხვერპლი არ გავმხდარიყავი. უნდა მეფიქრა და დამემტკიცებინა საკუთარი თავისთვის, რომ ვიყავი ადამიანი, დედამიწელი ადამიანი, ანუ მოაზროვნე არსება, რომელიც ჩვეული იყო ყველა უკიდურესად ფანტასტიური მოვლენის ლოგიკურად გაანალიზებას, და არა ცხოველი, რომელიც მაღალგანვითარებული მაიმუნების ნანადირევი შეიქნა.

მე ყველა იმ წვრილმანს ვიხსენებდი, რაც ჩემს გონებაში ცნობიერად თუ ქვეცნობიერად დაგროვდა. მთელ ამ ინფორმაციაში კი მთავარი ერთი რამ გახლდათ: ყველა ეს მაიმუნი, მამრი თუ მდედრი, გორილა თუ შიმპანზე, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყურებოდა ვინმეს ნებაზე გაწვრთნილ-ნავარჯიშებ არსებად.

ჩვენთან დედამიწაზე შლაპიანი შიმპანზე აუცილებლად სიცილს გამოიწვევს, აქ კი არანაირი მსგავსი სურვილი არ გამჩენია. თავსაბურავები უხდებოდათ კიდეც მაიმუნებს, სამოსი ტანზე კარგად ჰქონდათ შემოდგმული და ნებისმიერი მათი მიმოხვრა ბუნებრივად გამოიყურებოდა. მდედრი გორილა, რომელიც რაღაც სასმელს წრუპავდა, ნამდვილი ქალბატონის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთ-ერთმა მონადირემ კი - ისიც გამახსენდა - ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, რაღაც ბალახით დატენა და დინჯად, ძალზედ ბუნებრივად გააბოლა. გაოგნებული ვიხსენებდი და ვფიქრობდა ამგვარ გაუგონარ ამბებზე და არანაირი სანუგეშო დასკვნის გამოტანა არ შემეძლო. მთელი ამ ხნის გამავლობაში, მგონი, პირველად ვინანე მწარედ, რომ ჩემს გვერდით არ იყო პროფესორი ანტელი. მისი სიბრძნე და განსწავლულობა, ალბათ, დამეხმარებოდა ამგვარი პარადოქსული ფაქტების გააზრებაში. ნეტავი რა დაემართა ანტელს? დახოცილთა შორის მისი გვამი არ ჩანდა... ეგებ ისიც ბადეში გაიხლართა? ეს სავსებით დასაშვები იყო, რადგან რამოდენიმე გალია ჩემი თვალთახედვიდან მოშორებით იდგა. იმის გაფიქრება კი, რომ პროფესორი იქ, ტყეში მონადირეებს გადაურჩა, არც მსურდა და არც შემეძლო.

ასე რომ, საკუთარ თავთან დარჩენილმა, ჩემი თეორის შეთხზვა დავიწყე, რაც არცთუ ძალიან მაკმაყოფილებდა. ეგებ ამ პლანეტის ბინადარნი ის ცივილიზირებული არსებები არიან, რომლებმაც კოსმოსური კატარღიდან დანახული ქალაქები ააგეს და რომლებმაც ისე შეძლეს ამ მაიმუნების გაწვრთნა-მოშინაურება, რომ ისინი თაობიდან თაობამდე გონიერ არსებებად იქცნენ?! ჩვენთან, დედამიწაზეც ხომ ყოფილა შემთხვევა, როცა შიმპანზეს გასაოცარი უნარი და გონიერება გამოუჩენია! თვით ის ფაქტიც, რომ სორორელ მაიმუნებს მეტყველება შეეძლოთ და საკუთარი ენაც ჰქონდათ, მაშინ დიდ ვერაფერ საოცრებად მიმაჩნდა. მე გამახსენდა ამ სფეროს ერთ ცნობილ სპეციალისტთან საუბარი, რომელმაც მითხრა, რომ დედამიწაზე სავსებით სერიოზული მეცნიერები უკვე დგამენ პირველ ნაბიჯებს, რათა პრიმატებს ლაპარაკი დააწყებინონ. ისინი თვლიან, რომ მაიმუნების ფიზიკური აგებულება არაფრით ეწინააღმდეგება ამას. აქამდე ყველა მათი მცდელობა უშედეგოდ იყო დასრულებული, მაგრამ მეცნიერები უკან არ იხევენ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ წარუმატებლობის ერთადერთი მიზეზი მაიმუნების უუნარობა კი არა, მათივე სიზარმაცეა პრობლემების დაძლევის პროცესში. ჰოდა, ხომ შეიძლება, რომ ამ სორორელმა მაიმუნებმა ერთხელაც დაძლიეს სიზარმაცე და ალაპარაკდნენ? ამის შედეგად კი პლანეტის ნამდვილმა ბატონ-პატრონებმა მაიმუნები შავი სამუშაოებით დაასაქმეს, რომელთა შორის ნადირობაცაა გათვალისწინებული?!

მე სწორედ ამ სასოწარკვეთილ ჰიპოთეზას ჩავეჭიდე და იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ ჩემს საფიქრალს სხვა, ბევრად უფრო მარტივი განმარტება შეიძლება ჰქონოდა. იმისათვის რომ არ გავგიჟებულიყავი, მე უნდა შემემუშავებინა რწმენა, რომ ამ პლანეტაზე არიან ჭეშმარიტად

მოაზროვნე არსებები, ანუ ადამიანები, ისეთივე ადამიანები, როგორიც მე თავად გახლდით და რომ მათთან კონტაქტს დავამყარებ.

ადამიანები! მაშ, ეს საბრალო არსებები ვიღა არიან, რომლებსაც მაიმუნები ხოცავენ და გალიებში ამწყვდევენ? განვითარებას ჩამორჩენილი ველურები? ტყიურთა ტომი? და თუ ასეა, ნუთუ პლანეტის ნამდვილი მეპატრონენი მათს მიმართ განხორციელებულ სისასტიკეს ასე გულგრილად უმზერენ და თავადვე ხელმძღვანელობენ?

ამ მწარე ფიქრებში რომ ვიყავი, ვიღაც დაოთხილი მომიახლოვდა. ეს ნოვა იყო. სხვა ტყვეები უკვე კარგახნის ჩაძინებულნი იყვნენ. მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ ნოვა წინაღამისავით მომეკრა და მომეხუტა. მე კვლავ მსურდა მის მზერაში თუნდაც ნაპერწკალი დამელანდა მეგობრობისა და, გნებავთ, სიყვარულისა, მაგრამ ამაოდ. ნოვა გადაბრუნდა და ძილს მისცა თავი. მიუხედავად ამისა, მაინც დავმშვიდდი, მისი სიახლოვე მაგიურად მოქმედებდა ჩემზე და მალე მეც ჩავთვლიმე, რათა გამოუცნობ ხვალინდელ დღეზე ფიქრით აღარ გამეწამებინა გონება.

## მეთორმეტე თავი

თავდაცვითმა რეფლექსმა გამომიხსნა მეტისმეტად მწარე და დამთრგუნველი ფირებისაგან და დილამდე აღარ გამღვიძებია. მართალია, სიზმარეულმა ზმანებებმა გამაწამეს, რადგან ნოვას ცხელი სხეული ჩემს ტანზე შემოხვეულ საზარელ გველად მეჩვენებოდა, მაგრამ განთიადამდე მაინც მშვიდობიანად მივაღწიე. ნოვას ჩემზე ადრე გაღვიძებოდა, იქვე ჩემს სიახლოვეს იჯდა და სახეზე შიში და უგნურება დასთამაშებდა.





ჩვენმა ფურგონმა სვლა შეანელა და შევნიშნე, რომ ქალაქში შევდიოდით. ტყვეები გალიის კიდეებს მიაწყდნენ და ირგვლივ დაფეთებულნი იმზირებოდნენ. მეც მივადე სახე გალიის გისოსებს, რათა უკეთ დამენახა სორორას ცივილიზირებული ქალაქი.

ჩვენ საკმაოდ ფართო ქუჩაზე მივდიოდით, რომელსაც ორივე მხარეს ტროტუარი გასდევდა. ვუყურებდი გამვლელ-გამომვლელს და სული ძრწოლით მევსებოდა - ქუჩაში ყველა მაიმუნი იყო. სადღაც მოშორებით ვაჭარი დავინახე, რომელიც თავისი ფარდულის დარაბას მაღლა სწევდა და დიდხანს იმედით ვიმზირებოდი მისკენ, მაგრამ მობრუნდა და... ისიც მაიმუნი აღმოჩნდა. ვცდილობდი გვერდით ჩავლილი მანქანების მძღოლები და მათი მგზავრები დამენახა, ვათვალიერებდი მთელ არემარეს, მაგრამ ყველგან მაიმუნები... მაიმუნები... ადამიანურად ჩაცმული მაიმუნები ჩანდნენ.

ჩემი უკანასკნელი იმედი, რომ სორორაზე სხვა გონიერ არსებებს გადავეყრებოდი, კვამლივით გაქრა და მთელი დანარჩენი გზა უკვე მთლად სასოწარკვეთილმა გავატარე. მცირე ხანში მანქანებმა კვლავ შეანელეს სვლა. მხოლოდ ახლაღა შევნიშნე, რომ გასული ღამის განმავლობაში ჩვენი ქარავანი საკმაოდ შეთხელებულიყო; დარჩა მხოლოდ ორი მისაბმელი, ყველა დანარჩენი კი სადღაც გაუჩინარებულიყო. ჩვენს წინ ყრუ ჭიშკარი გააღეს და ეზოში შევედით. მაიმუნებმა უმალ ალყაში მოგვაქციეს, რადგან ტყვეებმა შფოთვა დაიწყეს და მათი დამშვიდება მხოლოდ წვეტიანი ჯოხებით თუ შეიძლებოდა.

ეზოს ყველა მხრიდან ერთნაირი ფანჯრების მქონე მრავალსართულიანი შენობა ეკრა გარს. აქაურობა ყველაზე მეტად საავადმყოფოს წააგავდა და ეს შთაბეჭდილება მით უფრო გაძლიერდა, როცა ჩვენს შესახვედრად სრულიად ახალი სახეები გამოეშურნენ. მათ ეცვათ ხალათები და თავზედაც პატარა ქუდები ეხურათ სწორედ ისე, როგორც ჩვენს სანიტრებს სჩვევიათ, თუმცა ისინიც მაიმუნები იყვნენ.

დიახ, ყველა მათგანი მაიმუნი - გორილა ან შიმპანზე - იყო! მცველებთან ერთად მათ გალიების დაცარიელება დაიწყეს. ტყვეები სათითაოდ გამოჰყავდათ, ტომრებში ტენიდნენ და შენობისაკენ მიჰყავდათ. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია და მალე ორმა უზარმაზარმა გორილამ მეც ჩამტენეს ტომარაში. მერე დიდხანს სადღაც მიმათრევდნენ, ვგრძნობდი, რომ ჯერ კიბეზე ამიყვანეს და მერე რაღაც უსასრულო დერეფნებში მატარეს. ბოლოს საკმაოდ უხეშად გადმომბერტყეს ტომრიდან და სხვა გალიაში შემაგდეს, რომელიც ერთ ადგილზე იყო დამაგრებული, ჩალის საფენებიც ჰქონდა დაგებული და... მხოლოდ ჩემთვის იყო განკუთვნილი. გორილა-სანიტარმა ჩემი გალიის კარები საგულდაგულოდ ჩაკეტა დიდი კლიტით.

ირგვლივ, მთელი დერეფნის გაყოლებაზე, ჩემი გალიის მსგავსი საპყრობილეები იყო განლაგებული. ყველა გალია დაკავებული იყო, რომლებშიც ზოგი ჩემსავით ახლადმიყვანილი ტყვე იჯდა, უფრო მეტი კი დიდი ხნით ადრე მოთავსებული ჩანდა იქ. ამ უკანასკნელთა გამორჩევა შეიძლებოდა იმ მძიმე და დაუძლურებული იერით, რაც მათს შეგუებაზე მეტყველებდა. ისინი გულრილად იმზირებოდნენ ჩვენსკენ და არც არანაირ რეაქციას არ გამოხატავდნენ, თუ რომელიმე ახლადმიყვანილი ზედმეტ აგრესიულობას გამოავლენდა ტყვეობასთან შეუგუებლობისა გამო. გარდა ამისა, შევნიშნე, რომ ახალი მოსახლენი ყველა კენტკენტად განათავსეს მაშინ, როცა ძველები წყვლწყვილად ისხდნენ გალიაში. გალიის გისოსებს თავი მივადე და დერეფნის ბოლოში შევნიშნე უფრო დიდი და ფართო გალია, სადაც მხოლოდ ბავშვები იყვნენ შეყრილნი. უფროსებისაგან განსხვავებით, პატარა ადამიანები ჩვენს მიყვანას დიდი აურზაურით შეეგებნენ. ისინი ხტოდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, გალიის კედლებს ეჯაჯგურებოდნენ, თითქოს გარეთ გამოქცევა სურთო... ერთი სიტყვით ზუსტად ისე იქცეოდნენ, როგორც ჩვენს ზოოპარკებში პატარა მაკაკები.

მალე ორი გორილა ისევ გამოჩნდა, რომლებიც მორიგ ტომარას მოათრევდნენ და ამ ტომრიდან ჩემს მზერას კვლავ მშვენიერი ნოვა მოევლინა. იგი ჩემს მოპირდაპირე გალიაში შეაგდეს და ეს იყო ჩემი ერთადერთი ნუგეში ამ გამოუცნობ სამყაროში. თავად ნოვა კი გაშმაგებულ აწყდებოდა გალიის კედლებს, იგი ყველანაირად ცდილობდა რომელიმე გორილას მისწვდომოდა ხელით და სახე ჩამოეფხაჭნა მისთვის. მცირე ხანში ისიც დაწყნარდა, თუმცა ისეთი საბრალო კვნესა ამისდიოდა, რომ სული მეყინებოდა. თავი რომ ასწია მე დამინახა და გაქვავდა... მერე კისერი მოიღერა და დიდხანს მიმზერდა, როგორც დამფრთხალი პატარა გოშია. მე ფრთხილად გავუღიმე მას, მერე ხელიც დავუქნიე. და როცა მან უნებლიედ დააპირა იმავე ჟესტის გამეორება, სულში რაღაც სითბო ჩამეღვარა!

ჩვენი იდილიური ყოფა ორი თეთრხალათიანი გორილის გამოჩენამ შეწყვიტა. როგორც ჩანს, ტყვეების გადმოტვირთვა დაესრულებინათ, რაკიღა მათ ახალი აღარავინ მოიყოლეს. სამაგიეროდ ამჯერად ისინი საკვებითა და წყლით დატვირთულ ურიკას მოათრევდნენ, რის დარიგებამაც უმალ დააშოშმინა ყველა მეამაბოხე ტყვე.

მალე ჩემი რიგიც დადგა. ერთი გორილა გალიის კართან გაჩერრდა, მეორე კი შემოვიდა და წინ ფაფით სავსე ჯამი დამიდგა, იქვე წყლის ჭურჭელიც და რამოდენიმე ტკბილი ნაყოფიც დადო. მე უკვე საბოლოოდ მქონდა გადაწყვეტილი, რომ ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში მაიმუნებთან კონტაქტი დამემყარებინა, რადგან, როგორც დავრწმუნდი, ამ პლანეტაზე სწორედ ისინი იყვნენ ერთადერთი გონიერი არსებანი. გალიაში შემოსული გორილა საკმაოდ მშვიდი და კეთილი არსება ჩანდა; ჩემი წყნარი და უშფოთველი სახე რომ შენიშნა, მან მხარზე მეგობრულადაც კი მომითათუნა ხელი. მე კი მას პირდაპირ თვალებში შევხედე, მერე მკერდთან მივიტანე ხელი და თავაზიანად დავუკარი თავი. თავი რომ ავწიე, შევნიშნე, გორილა შოკში ჩავარდნილიყო. ესეც არ ვაკმარე მას და გავუღიმე ისე, როგორც ყველაზე ახლობელ ადამიანს შეუძლია გაუღიმოს ადამიანმა. გორილამ ორიოდე ნაბიჯი გადადგა უკან, თითქოს გაქცევა უნდაო, მაგრამ გაოცებისაგან ძალა წაერთვა და ადგილზე გაქვავდა. როგორც იქნა შემნიშნეს! იმისათვის, რომ ჩემი წარმატება განმემტკიცებინა და ყველა უნარი ერთიანად გადმომეფრქვია, მე საკმაოდ სულელურად წარმოვთქვი ენაზე მომდგარი პირველივე ფრაზა:

- ხომ კარგად ბრძანდებით? მე დედამიწელი ვარ! დედამიწა კი აქედან ძალზედ შორს მდებარეობს...

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

**ამავე ნომრის პასუხები. რეიტინგი**: 1. ონდატრა 2. სარხოიანი 3. ატონი 4. ნერგი 5. მერკადერი 6. დარვინი 7. ანტანტა 8. მენელაე 9. ტვინი 10. მურმანსკი 11. ტარხანოვი 12. ბულგაკოვი 13. ეთერი 14. ორგია 15. ანათემა 16. ადანი 17. არტერია 18. სკუტერი 19. ენდრო 20. კრონეკერი 21. ოქტავიანე 22. ქერქი 23. სკოტი 24. მორბელაძე 25. შტოფი 26. ევანსვილი 27. დომინანტა 28. ბრავო 29. მანაგუა 30. აფსუა 31. სტალონე 32. მამბა 33. ხილფაფა 34. ენოტი 35. ურანი 36. ათენა 37. მაკლარენი 38. რუსთაველი 39. ყურძენი 40. ანილინი

# აფორიზმების ანთოლოგია

1239. დაბადების დღის საჩუქრები ორ კატეგორიად იყოფა: ისინი, რომელიც არ მოგვწონს და ისინი, რაც არ მოგვართვეს.

**უცნობი ავტორი**

1240. საჩუქარი, როგორც კეთილი რჩევა, მოსაწონი ყოველთვის მიმრთმევისთვისაა.

**ედუარ ერიო**

1241. საჩუქრებს იღებს ის, ვისგანაც უკუგებას ელიან.

**ბოგდან ბუექინსკი**

1242. წიგნი საუკეთესო საჩუქარია, მაგრამ საჩუქარი წიგნზე უკეთესია.

**უცნობი ავტორი**

1243. ფული საუკეთესო საჩუქარია, ყველა დანარჩენი ძალზე იაფია.

**უცნობი ავტორი**



1244. პატარა საჩუქრებზე მეგობრობაა დაფუძნებული, დიდებზე - სიყვარული.

**იანინა იპოხორსკაია**

1245. არაფერი იწვევს ისეთ დიდ ეჭვს ცოლში, როგორც ქმრისაგან მიღებული მოულოდნელი საჩუქარი.

**უცნობი ავტორი**

1246. იდეალური საჩუქარი არის ის, რომლის გაცვლა ქალს შეუძლია მაღაზიაში ერთი თვის შემდეგაც კი.

**უცნობი ავტორი**

1247. მივიდა რა იმ დასკვნამდე, რომ ამქვეყნად არაფერია ისეთი, რაც სატრფოს საჩუქრის ღირსი იქნებოდა, მამაკაცმა ქალს საკუთარი თავი შესთავაზა.

**სპენსერ ტრეისი**

1248. ზოგ ქალს ვარდების თაიგული არ ჰყოფნის და ითხოვენ, რომ მამაკაცმა ლარნაკში წყალიც ცვალოს ხოლმე.

**იანუშ გაუდინი**

1249. წარწერა ყვავილების მაღაზიის ვიტრინაზე:

მოწევა და ცოლის დაბადების დღის დავიწყება საზიანოა ჯანმრთელობისათვის.

**უცნობი ავტორი**

1250. თუ კაცმა ცოლს თაიგული მიართვა ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ეს ნიშნავს, რომ იგი მცირე ხნის წინ „მიზეზს" წაეჩხუბა".

**მოლი მაგი**

1251. სიკვდილი ცოტაა მისთვის, ვინც პირველმა აღნიშნა თავისი დაბადების დღე.

**მარკ ტვენი**

1252. დაბადების დღე სასიამოვნო რამ არის, მაგრამ დიდი დოზით მომაკვდინებელია

**უცნობი ავტორი**

1253. მარტო დაბერება საშინელია!.. ჩემი ცოლი უკვე მეშვიდე წელია აღარ აღნიშნავს თავის დაბადების დღეს.

**რობერტ ორბენი**

## ომარ ხაიამის რობაიები

76
ნუ ენდობი წუთისოფელს, არყოფნაში მიდის იგი,
ღვინო სვი და შენს საფიქრალს სიხარულით მოურიგდი;
ეს ქვეყანა ძველთაძველი, რომ არ იყოს ფერთამცვლელი,
არასოდეს დადგებოდა, ძმაო, შენი მოსვლის რიგი.
77
ამ უაზრო საწუთროზე ფიქრით შვება ვერვინ ჰპოვა,
ეგ ნაღველიც შენმა გულმა სულ ამაოდ დაიგროვა;
რაც წავიდა, გუშინ იყო და ვინ იცის, ხვალ რა მოვა,
წარსულზე და მომავალზე განა ღირსღა შენი გლოვა?!
78
შენი ხილვა, ტურფა ქალო, ო, რა საამურია,
მოდი, ღვინო მომაწოდე, ხომ იცი, რომ მწყურია...
და თუ ამან დამავიწყე რაც რამ ქვეყნად შურია,
ძაღლი ვიყო, თუ მახსოვდეს სამოთხე და ჰურია.
79
იმ მეგობარს, ვისაც გულმა გაადევნა გლოვის ზარი,
სადღაც სხვაგან მოსწოლია რაღაც სევდა შესაზარი;
მე როგორღა მოვიძიო წამალი ან წამლისდარი,
როცა თავად მკურნალიც კი ნაღველისგან ავად არი.
80
სამოცი წლის თუ შესრულდი, გწამდეს - იღბალს ეწიე!
საითაც და სადაც წახვალ, ღვინის მარანს ეწვიე...
ძმაო, შენი თავის ქალა, სანამ დოქად აზილეს,
მხარზე დოქი შემოიდგი და ფიალა ეძიე.

16

მთარგმნელი ალ.ელერდაშვილი

## სპარსული სიტყვები ქართულ ენაში

48. **ბედოვლათი** - „დოვლათ" ქვეყანას, სახელმწიფოს ნიშნავს; ბედოვლათი კი უსახლკარო, ოხერი გამოდის („ბე" არქონის წინსართია).

49. **ბეითალი** - ახლა ამ სიტყვას ასევე არაქართული „ვეტერინარი" შეენაცვლა.

50. **ბელადი** - ჩვენი აზრით, ეს სპარსული „ბალად" უნდა იყოს, რაც „მცოდნეს, განვითარებულს" ნიშნავს.

51. **ბემურაზი** - უ-სურვილო, უ-საქმო თუ რაღაც ამისმაგვარ კაცს ახასიათებენ სპარსელები ამ სიტყვით.

52. **ბექთარი** - ჯაჭვის პერანგი.

53. **ბინა** - ირანელთათვის „საყრდენს, საფუძველს" ნიშნავს.

54. **ბინადარი** - უკვე ვთქვით, რომ „დარ" მქონეს აღნიშნავს (ამაგ-დარი, მიზან-დარი).

55. **ბოზბაში** - „ბოზ" თხაა, ბაშ - თავი (თურქულად)... როგორც ჩანს, თათქარიძეთა საყვარელ საჭმელს ოდესღაც თხის თავისაგან ამზადებდნენ?!

56. **ბოლთა** - ირანელებისგან ვისწავლეთ - „ბოლთის ცემა".

57. **ბოსტანი** - „ბუ" სპარსულად სურნელებას ნიშნავს. „სტან" ტოპონიმის მაწარმოებელი ბოლოსართია (გურჯისტანი, პაკი-სტანი); ბოსტანი კი თითქმის იგივე მნიშვნელობით იხმარება სპარსულში, როგორც ჩვენთან.

58. **ბრძენი** - ამ სიტყვამ შინაარსი არ შეიცვალა, მაგრამ ფორმით საკმაოდ დაშორდა ორიგინალს.

59. **ბუკი** - „ბუყ" სპარსელთათვისაც საყვირია (სხვათა შორის, დღეს ავტომობილის სიგნალიც).

60. **ბულბული** - ცნობილი ირანისტი, დავით კობიძე სულ ამას ჩიოდა - როგორ არ შემოვინახეთ ამ მგალობელი ფრინველის ქართული სახელიო?!

61. **ბურჯი** - სხვაობა არ შეინიშნება არც ფორმაში და არც შინაარსში.

62. **ბუხარი** - დიახ, ესეც სპარსული სიტყვაა.

63. **გულაბი** - „გულ" ვარდია, „აბ" - წყალი; ასე რომ, მსხლის ამ ჯიშის გემო ვარდის სურნელებასთანაა შედარებული.

64. **გულანშარო** - სახელი ქალაქისა, რომელიც „ვეფხისტყაოსანშია" მოხსენიებული, ასე იშლება: „გოლ-ან" (ვარდები) და „შაჰრ" (ქალაქი).

65. **გუმანი** - „ალღო" კი თურქული გახლავთ.

66. **გუმბათი** - „გომბად" ამბობენ სპარსელები.

67. **გურზი** - ძველ ტექსტებში ხშირად გვხვდება ეს სიტყვა, რაც მძიმე საბრძოლო იარაღს ნიშნავს.

68. **გუშაგი** - ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში რომ ამოვიკითხეთ „გუშაგი" სპარსულიაო.

69. **დაირა** - ეს სიტყვა ზოგადად „მრგვალს" ნიშნავს და მრგვალ დოლსაც მიტომ დაენათლა.

70. **დამქაში** - ორი სიტყვისაგან შედგება „დამ" (გაიხსენეთ - ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისა დამისა) - მხარდაჭერა და „ქაშ" (ზმნური ბოლოსართი) - გაწევა, დაჭერა

71. **დარბაზი** - აქ ცვლილება მხოლოდ ისაა, რომ სპარსულ „ვ"-ს ჩვენთან „ბ" შეენაცვლა.

72. **დარდი** - აქ არაფერი შეცვლილა

73. **დარია** - მართალია, ეს სიტყვა მოგვიანებით გამოჩნდა ჩვენს ენაში და ისიც რუსულის შემოვლით (სარეცხის ფხვნილზე მოგახსენებთ), მაგრამ ნამდვილად სპარსულია და „ზღვას, მდინარეს" (ამუ-დარია ხომ გახსოვთ) ნიშნავს. სხვათა შორის, „ბარფ" თოვლს ნიშნავს, „აინა" კი სარკეს და ეს სიტყვებიც მშვენივრად იციან ჩვენმა მრეცხავმა დიასახლისებმა.

74. **დასტური** - თანხმობა.

75. **დაღი** - სხეულზე არსებული ბუნებრივი ან ხელოვნური ნიშანი.

## გინესების რეკორდების წიგნი
## თამაშები. ჭადრაკი

**ყველაზე ხანგრძლივი ჩემპიონები**

<u>ემანუილ ლასკერი და ვერა სტივენსონ-მენჩიკი</u>

ემანუილ ლასკერი (გერმანია) ჩემპიონის ტიტულს ფლობდა 26 წლის და 337 დღის განმავლობაში 1894-დან 1921 წლამდე. ქალთა შორის რეკორდსმენია ვერა სტივენსონ-მენჩიკი (ჩეხეთი). ეს უკანასკნელი ჩემპიონი იყო 1927 წლიდან სიკვდილამდე (1944 წლამდე) და ამ ხნის განმავლობაში 7-ჯერ დაიცვა თავისი ტიტული.

**ყველაზე მეტი გამარჯვება**

<u>სსრკ-ს ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები</u>

სსრკს ვაჟთა ნაკრებს 18-ჯერ აქვს მოპოვებული ოლიმპიადის ჩემპიონობა (1952-1990 წლებში), რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ქალთა გუნდმა კი გაიმარჯვა 11-ჯერ 1957-1986 წლებში.

**ჩემპიონების მიერ წაგებული მინიმალური რაოდენობა პარტიებისა**

<u>ხოსე რაულ კაპაბლანკა</u>

ხოსე რაულ კაპაბლანკა (კუბა) 571 პარტიაში მხოლოდ 34-ჯერ დამარცხდა თავისი კარიერის მანძილზე 1909 წლიდან 1939 წლამდე. მან ჩაატარა დაუმარცხებელი სერია 1916 წლის 10 თებერვლიდან 1924 წლის 24 მარტამდე (სულ 63 პარტია) და 1921-27 წლებში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც ფლობდა.

**ყველაზე მაღალი რეიტინგი**

<u>გარი კასპაროვი</u>

ყველაზე მაღალ რეიტინგს მიაღწია გარი კასპაროვმა 1993 წელს - 2815 ქულა (პროფესორ ელოს სისტემით).

**ყველაზე მაღალი რეიტინგი**

<u>ჯუდიტ პოლგარი</u>

ყველაზე მაღალ რეიტინგს ქალთა შორის მიაღწია ჯუდიტ პოლგარმა (უნგრეთი) 1996 წელს - 2675 ქულა (პროფესორ ელოს სისტემით).

**ერთდროული თამაშის სეანსი**

<u>ულფ ანდერსონი</u>

ულფ ანდერსონმა (შვედეთი) ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 310 დაფაზე (მხოლოდ ორი დამარცხება) 1996 წელს შვედეთის ქალაქ ალვოსში.

# მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფული

32. **მანათი** (=100 კაპიკს) - აზერბაიჯანის ფულის ერთეული.

როგორც სრულუფლებიანი ეროვნული ვალუტა შემოღებულ იქნა 1993 წლის 1 თებერვალს და რუსული რუბლის პარალელურად ბრუნავდა, 1994 წ 1 იანვრიდან კი აზერბაიჯანის ერთადერთ საგადამხდელო ფულად ერთეულად გამოცხადდა.

ყველაზე ფართოდ ხმარებადია 500, 1000 და 10 000 მანათის ღირებულების კუპიურები, ახლახანს გამოჩნდა 50 000 მანათიანიც, რომელიც დიდ ბრიტანეთში დაიბეჭდა. ბრუნვაშია, აგრეთვე, სამახსოვრო და საიუბილეო მონეტებიც.

33. **მანათი** (=100 ტენგეს) - თურქმენეთის ფულის ერთეული.

თურქმენეთში ეროვნული ფული ერთ-ერთმა პირველებმა შემოიღეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ამას ხელი შეუწყო გააზრებულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ და მკაცრმა წინააღმდეგობრივმა ღონისძიებებმა, რაც რუსული რუბლის მიმართ იქნა გატარებული.

ამჟამად თურქმენეთში ყველაზე ფართოდ ხმარებადია 100 და 500 მანათიანი კუპიურები, რომლებზედაც, ისევე როგორც ყველა დანარჩენზე გამოსახულია რესპუბლიკის პრეზიდენტი საფარმურად ნიაზოვი.

34. **მარკა** (=100 პფენინგს) - გერმანიის ფულის ერთეული.

ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ, 1990 წელს გდრ-ს მარკები ანულირებულ იქნა და ბრუნვაში დარჩა გფრ-ს ფული, რომელიც 1960 წელს იყო გამოშვებული.

ამჟამად ბრუნვაშია 1989 წელს გამოშვებული 5, 10, 20, 50, 100, 200 და 1000 „დოიჩმარკები“, ადრინდელი ნიმუშების ბრუნვა კი შეწყვეტილ იქნა.

თანამედროვე გერმანული ფულის წინა მხარეზე მე-18-19-ე საუკუნეების გერმანელ მოღვაწეთა პორტრეტებია გამოსახული, უკანა მხარეზე კი არის სიუჟეტი მათი პროფესიონალური მოღვაწეობისა.

გერმანული მარკა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტად ითვლება.




35. **მარკა** (=100 პენის) - ფინეთის ფულის ერთეული.

ფინეთის ფული წარმოიშვა მანამ, სანამ თავად ფინეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნებოდა. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ ნებადართულ იქნა, რომ 1860 წელს ფინელებს საკუთარი ფული გამოეშვათ, მანამდე კი რუსეთის იმპერიის რუბლი გამოიყენებოდა.

1963 წელს 100-ჯერადი დენომინაციასთან ერთად შემოღებულ იქნა ახალი მარკა 50, 100, 500 და 1000 ერთეულიანი კუპიურებით. ფინური ბანკნოტებს, მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის ფულისაგან განსხვავებით და აშშ-ს დოლარის მსგავსად, აქვს ერთი და იგივე ფორმატი და ზომა. ამიტომაც ხშირია მათი ფალსიფიცირება, რაც ნულის მიმატებითაც კი ხორციელდება ხოლმე.




36. **პესეტა** (=100 სენტიმოს) - ესპანეთის ფულის ერთეული.

„პესეტა“ მე-18 საუკუნეში წარმოიშვა. 1868 წლიდან კი ეროვნულ ვალუტად გამოცხადდა. ამჟამად ბრუნვაშია 1979 და 1992 წლებში გამოშვებული 1000, 2000, 5000 და 10 000 ერთეულიანი კუპიურები. ფალსიფიცირების თავიდან აცილების მიზნით უფრო მცირე ნომინალის კუპიურები მონეტებით შეიცვლა.

ესპანური პესეტა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტაა.




# გასული ნომრის პასუხები

***მე-3 გვ.*** **თარაზულად**: 8. gondola. 9. parTenoni 11. nobelianti. 12. gelaTi. 13. astra. 14. adeni. 15. kamea. 19. qiria. 20. bua. 21. pirueti. 25. tercia. 26. qoronikoni. 29. dinamometri. 30. bebia. 33. patiJi. 34. enkenisTve. 35. astronomi. 36. drakoni. **შვეულად**: 1. sakeravi. 2. mTvare. 3. injia. 4. ananasi. 5. gogla. 6. eduardi. 7. plutoniumi. 10. aberdini. 16. udoviCenko.. 17. atria. 18. bistro. 22. oleandri. 23. goliaTi. 24. argentina. 27. alersi. 28. reJimi. 31. dioni. 32. peri.

***მე-4-5 გვ.*** **თარაზულად**: 1. lenoni. 4. bidermeieri. 9. frontispisi. 17. kanaverali. 18. platonovi. 19. frustracia. 22. ekvirine. 23. baiyuSi. 24. dublinelebi. 28. qsilofoni. 29. akrostiqi. 30. analgini. 34. stiqia. 35. serveri. 36. vainbergi. 37. oruro. 42. maikrofti. 43. sfinqsi. 44. avdotia. 45. nova. 50. lada. 51. madridi. 52. klinika. 53. bombardiri. 57. visti. 58. heliumi. 59. eparqia. 60. xuanxe. 65. anandi. 66. Wadraki. 67. leonovi. 68. qacvi. 73. matarebeli. 74. indiana. 75. vladimirovi. 79. qsenoni. 80. parnasi. 81. gvirabi. 82. starti. 87. troa. 88. azaveri. 89. kremona. 90. grini. 91. avzi. 96. tvifri. 97. adenoma. 98. sinTezi. 99. leikersi. 103. tibaani. 104. zvigeni. 105. sekreteri. 110. tartiufi. 111. sairusi. 112. pasteli. 113. Stili. 118. konsorciumi. 119. anderZi. 120. hauptvaxti. 124. okei. 125. anjei. 126. bagrati. 127. barteri. 128. enio. 133. tvisti. 134. iamaika. 135. agrafia. 136. relikvia. 140. batalisti. 141. deineka. 142. kardala. 147. malkolmi. 148. indiumi. 149. acetoni. 150. amati. 155. monferani. 156. miutevebeli. 157. plutarqe. 161. apeuri. 162. kamerdineri. 163. merieni. 164. leSi. 165. elia. 166. poligamia. 167. Jairzinio. 168. belini. **შვეულად**: 1. lukreciusi. 2. nenova. 3. novorosiiski. 5. ieli. 6. malayi. 7. irtiSski. 8. rona. 10. neroni. 11. insulini. 12. paraboluri. 13. saci. 14. graneli. 15. avgustine. 16. latakia. 20. barnovi. 21. aleqseevi. 25. efreitori. 26. iohanseni. 27. giorgobiani. 31. miranda. 32. grifi. 33. agronomia. 38. iokasta. 39. angloma. 40. simba. 41. basilevsi. 46. Slagbaumi. 47. udReuri. 48. skapeni. 49. triumvirati. 54. lindgreni. 55. biukeneni. 56. frivoluri. 61. partistoria. 62. saxli. 63. leoni. 64. yaimi. 69. abanozi. 70. miusera. 71. udaburi. 72. yvaryvare. 76. Sagreni. 77. svaneTi. 78. siciliuri. 83. Stutharti. 84. gvidoni. 85. ambioni. 86. incesti. 92. arminiusi. 93. emxvari. 94. azbesti. 95. skuratovi. 100. fanfaroni. 101. agesandre. 102. brilianti. 106. orTopedia. 107. sarma. 108. banZa. 109. plexanovi. 114. sideracia. 115. pentagoni. 116. aparteidi. 117. sikoraqsi. 121. montesuma. 122. marka. 123. kamiu. 129. stratosfero. 130. kantoni. 131. vaJkacoba. 132. diplomati. 137. palmira. 138. dermatini. 139. yaeni. 143. altobeli. 144. cilindri. 145. italieli. 146. starteri. 151. inZagi. 152. kviria. 153. elene. 154. Celini. 158. vale. 159. Zera. 160. kivi.

***მე-6 გვ.*** **თარაზულად**: 1. rastri. 6. hamaki. 9. mandela. 11. salambo. 12. tokelau. 13. rekamie. 14. faberJe. 15. rvafexa. 16. veranda. 17. metisi. 20. smexovi. 21. mixaki. 24. kompania. 25. kikini. 28. sorento. 29. hirohito. 30. putini. 31. niutoni. 32. silikoni. 36. tarava. 37. biliki. 40. kantabria. 41. sanai. 44. dekolte. 45. krokodili. 46. peSti. 47. Silingi. 48. vinipegi. 49. ayiro. **შვეულად**: 1. resifi. 2. salobie. 3. remarki. 4. snikersi. 5. germania. 6. haterasi. 7. maklareni. 8. kalderoni. 9. morevi. 10. kuragini. 17. mioziti. 18. tapiori. 19. sandino. 21. masoni. 22. xorTumi. 23. kantoni. 25. kopiti. 26. katarRa. 27. ninevia. 32. sikoku. 33. linkori. 34. krakovi. 35. nargile. 37. badiSi. 38. lekalo. 39. kuloni. 41. sepia. 42. neSti. 43. iliko.

**მე-7 გვერდი** 1. yvavili. 2. profesionali. 3. pfaiferi. 4. bereti. 5. prezidenti. 6. meditacia. 7. uoreni. 8. guSindelni. 9. kotetiSvili. 10. inanTeuli. 11. Cexoslovakia. 12. dekabristebi. 13. CerniSevski. 14. moCvenebani. 15. maxaraSvili. 16. peredviJnikebi. 17. kataTagvobana. 18. CanCqeri. 19. safexurebi.





| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ხ | 2 ა | 3 რ | 4 ე | 5 ბ | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 |

## მეცხრე გვერდი



## 1-ლი გვ.



## მე-18 გვ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 8 | მ | 15 | ღ | 7 |
| ბ | 14 | ნ | 16 | ყ | 17 |
| გ | 4 | ო | 22 | შ | 23 |
| დ | 24 | პ | 25 | ჩ | 26 |
| ე | 33 | ჟ | 32 | ც | 31 |
| ვ | 29 | რ | 3 | ძ | 30 |
| ზ | 1 | ს | 28 | წ | 27 |
| თ | 19 | ტ | 20 | ჭ | 21 |
| ი | 5 | უ | 2 | ხ | 18 |
| კ | 13 | ფ | 12 | ჯ | 11 |
| ლ | 9 | ქ | 10 | ჰ | 6 |

## იაპონური ნახატები



ი/ს **„ფანტაზია-2000“**
(ნატალია ბერიკიშვილი)
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ № 5/1-2304.
ტელ.: 79-53-70,
(877) 72-61-18.
e—mail — sashiko45@hotmail.com გამოდის
**ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების**
რედაქტორობით
**რედკოლეგია**:
ირაკლი ნაზღაიძე,
გოგა ტარიელაშვილი, გიორგი ვეკუა, ლევან ელერდაშვილი



# ალო ფანტაზია

ტურნირი ჩატარდება 12 ტურად. თქვენ უნდა ამოიცნოთ ყველა კითხვა, რათა დაიმსახუროთ ტურში დაწესებული პრემია 10 ლარი (რამოდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა დანაწილდება). ტურნირის საბოლოო გამარჯვებული დამატებით მიიღებს კიდევ 10 ლარს, ასე რომ, მთელი ტურნირის საპრიზო ფონდი შეადგენს 120+10 ლარს. დაგვირეკეთ შაბათს 18-დან 19 სთ.30 წუთამდე ტელეფონებზე 79-53-70 ან 8.77. 72-61-18.

## მეათე ტურის პასუხები და შედეგები

1. მძღოლმა უპასუხა - ფრენკი მეორე ტელეფონზე ლაპარაკობსო. 2. დროებით წარმატებას. 3. იმისათვის, რომ ძაღლებმა ფორმა შეინარჩუნონ. 4. იმიტომ, რომ ვაგონის შუაში რყევა ნაკლებია.

მეათე ტურში ოთხივე კითხვა ვერავინ გამოიცნო. ასე რომ მეთერთმეტე ტურში თამაშდება 20 ლარი.

**ათი ტურის შემდეგ**

**22** ქულა - მერი მამრიკიშვილი (3,30 ლარი), ვაჟა პაპუაშვილი (12,30 ლარი).

**21** ქულა - ნადეჟდა ელიზბარაშვილი (9,80 ლარი), ზურაბ კიკილაშვილი.

**20** ქულა - სოფიკო დუნდუა (18,30 ლარი)

**18** ქულა - ნიკოლოზ წიქარიშვილი (5 ლარი), ანდრო მჭედლიშვილი (10 ლარი), მერაბ წიკლაური (2,50 ლარი). **16** ქულა - ლელა კომახიძე (5,30 ლარი). **14** ქულა - კობა დალაქიშვილი (1,50). **13** ქულა - სოლომონ მამუჩიშვილი (4,00). **12** ქულა - ვახტანგ ნანავა. **11** ქულა - თამრიკო დამენია (4,30 ლარი), ივანე ბერიანიძე. **10** ქულა - ნოდარ გოქაძე. **9** ქულა - თინათინ ციქურიშვილი (3 ლარი), ნატო მაღლაკელიძე. **8** ქულა - გოჩა ლობჟანიძე (1,50). **7** ქულა - ნანა მამულაშვილი. **5** - დიანა საღრიშვილი, ალექსი ჯუგაშვილი (3 ლარი), მალხაზ გოგნიაშვილი. **4** - ლია რუსეიშვილი (1,50), ნიკა სულაბერიძე. **3** - გიორგი გვასალია (2,50), ეკატერინე ტატიშვილი (3,30 ლარი), მადონა ხეცაძე, ვლადიმერ ყაჯრიშვილი. **2** - გიორგი წერეთელი, ნათია ჩუბინიძე, მარინა ივანიშვილი, შალვა გველესიანი, ლილე აქუბარდია.

## მეთერთმეტე ტური
## (5 მაისი, შაბათი 18.00-19.30.)

1. ე.წ. „კაგებემ“ მოსკოვში ე.წ. „ცერეუს“ ჯაშუში ამხილა და მას 69 გაუკეთა...

**რას ნიშნავს 69 ე.წ. „კაგებეს“ ჟარგონული გამონათქვამების თანახმად?**

2. ახლო წარსულში მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვი ხშირად სვამდა ხოლმე ასეთ სადღეგრძელოს - „გაუმარჯოს ჩემს სამ ყველაზე ერთგულ მეგობარსო!“.

**რას გულისხმობდა ჩერჩესოვი ამ სამ მეგობარში?**

3. ჩინურად საუზმე ყოფილა „ძაო ფან“, სადილი -   ფან“, ვახშამი - „ვან ფან“. სულაც არ არის საჭირო ჩინური ენის ცოდნა, რომ გავიგოთ...

**რას ნიშნავს ჩინურად „ფან“?**

4. აშშ-ს დოლარებზე გამოსახულ პერსონაჟთა შორის განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩევიან 10 და 100 დოლარიანზე გამოსახული ადამიანები...

**რატომ?**

## ფსევდონიმები

**113. ედშმიდი** კაზიმირ - ედუარდ შმიდი. XX ს გერმან. მწერალი.
**114. ექბერგი** ანიტა - ანიტა კერსტინი. შვედური წარმოშობის ამერიკელი კინომსახიობი.
**115. ელინგტონი** დიუკ - ელინგტონ ედვარდ კენედი. აშშ პიანისტი, კომპოზიტორი.
**116. ემე** ანუკ - ფრანსუაზა სორია. ფრანგი კინომსახიობი.
**117. ერმლერი** ფრიდრიხ - ბრესლავ მარკოვიჩი - საბჭოთა კინორეჟისორი.
**118. ერტე** - რომან ტირტოვი. ფრანგი მხატვარი.
**119. ესტანი** ლიუკ - ლიუსენ ბასტარი. XX ს ფრანგი პოეტი.
**120. ეფელი** ჟან - ფრანსუა ლეჟენი. XX ს ფრანგი გრაიკოსი.
**121. ვადუდი** აბდულ - რონალდ დე ვოანი. ამერიკელი ჯაზმენი.
**122. ვაზეხი** - მირზა შარიფი. XIX ს აზერბაიჯანელი პოეტი.
**123. ვაიჟგანტასი** - იუზას ტუმასი. XIX-XX სს ლიტველი მწერალი.
**124. ვალენტინო** რუდოლფ - აშშ კინომსახიობი.
**125. ვალაკი** პეეტ - პეეტერ პედაიასი. XX ს ესტონელი მწერალი.
**126. ვალუა** ნინეტ დე - იდრის სტანუსი. ინგლისელი ბალეტის მსახიობი ქალი.
**127. ვალტერი** ბრუნო - ვალტერ შლეზინგერი. გერმანელი დირიჟორი.
**128. ვაშინგტონი** დაიანა - ჯონს რუთი. აშშ ჯაზის მომღერალი.
**129. ვეჟინოვი** პაველ - ნიკოლა გუგოვი. XX ს ბულგარელი მწერალი.
**130. ვენტურა** ლინო - ანჯელო ბორონი. ფრანგი კინომსახიობი.
**131. ვერკორი** - ჟან ბრიულერი. XX ს ფრანგი მწერალი.
**132. ვერონეზე** პაოლო - კალიარი პაოლო. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი.
**133. ვეროკიო** ანდრეა - ანდრეა დი მიკელე ჩონი. XV ს იტალ. მოქანდაკე.



## ფოტოგალერეა

**ჩვენი პლანეტის ქალები**

**„საჩოგბურთო გაბაასება“**



## 1000 კურიოზი

413. ცოლი ეუბნება ქმარს:
- ორი ახალი ამბავი უნდა გითხრა: ცუდი და კარგი.
- გისმენ, დაიწყე.
- მე შენ გშორდები... მივდივარ!
- ჰოო... ცუდი რაღაა?

414. ცოლი ეუბნება ქმარს:
- აბა, გაიხედე ფანჯარაში, ჩვენს ბაღში რა საფრთხობელა შემოსულა?!
- ჯერ ერთი - ეს საფრთხობელა კი არა ძროხაა და მეორე - ეს ფანჯარა კი არა სარკეა!

415. **Разговаривают две женщины:**
**- Мой муж - как буква Q.**
**- ???**
**- Большой ноль с маленьким хвостиком**

416. - ბატონო დირექტორო! დღეს სამსახურიდან ადრე მინდა წავიდე სიდედრის დასაფლავებაზე...
- მეც მინდა...

417. *სასამართლოს სხდომაზე:*
- დაზარალებული მოკლულ იქნა მრგვალი ბლაგვი იარაღით.
*ბრალდებული:*
- მართალია... თავი დავარტყი!

418. **НОВОСТЬ:**
**Наконец-то добился разрешения на выезд в Израиль Иван Степанович Иванов, сделавший обрезание в четвертый раз**



